

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



კილაძე ნათელა

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები  
შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგია“-ს მაგალითებზე

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის,  
აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი,  
პროფესორი: **ლევან საბაური**

თბილისი

2020

## ანოტაცია

გლობალიზაციისა და კონკურენციის ზრდის პირობებში ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომ ორგანიზაციის მმართველები, ინვესტორები თუ ზოგადად დამოუკიდებელი ფიზიკური პირები გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ ყურადღებას ანიჭებენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს აქტივების, აქტივების დაფარვის წყაროების, საქმიანი აქტივობის, ფინანსური სტაბილურობის, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას გულისხმობს. მოცემული საკითხების შეფასება საწარმოს მმართველ გუნდს თუ პოტენციურ ინვესტორებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, პროგნოზირებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შეფასების საშუალებას აძლევს.

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია, საქართველოში ფუნქციონირებადი ორი კომპანიის: შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგია“-ს ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები. გაანალიზებულია მათი ფინანსური სტაბილურობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დონეები. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლენილია ეკონომიკური ფუნქციონირების განსხვავებული მიდგომები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ანალიზის მიზანია წარსული საქმიანობის შესწავლა, არსებული პრობლემების გამოვლენა და მომავალი პერსპექტივების განსაზღვრა.

აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია საანალიზო საწარმოების საქმიანობის ზოგადი ანალიზი. კვლევის ინფორმაციულ წყაროს კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებში მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს.

## **Annotation**

### **Analysis of financial position and the ways of improvement on the examples of LTD "Modus" and LTD "BMC Gorgia"**

The growth of globalization and competition have laid the foundations of tendency that during the decision making process, leaders of organisations, investors or, in general, independent physical individuals pay much more attention to the analysis of financial position.

Analysis of financial position includes: enterprise assets, assets coverage ratio, business activity, financial stability, liquidity, solvency etc.

Study of a given subject is a great opportunity for the ruling team or potential investors to analyse the financial sustainability of an enterprise, forecasts and the expected danger.

In this research it is studied two operating companies' - LTD "Modus" and LTD "BMC Gorgia" financial circumstances' indexes in Georgia. It is analyzed their levels of financial stability, liquidity and solvency. According to analyses of results, it is displayed/showed different approaches of economic functioning. Financial circumstance analysis's data is important in order to make rational decisions. The goal of analysis is to study last work, to demonstrate existing problems and to define future perspectives.

In this research paper, it is used analytical enterprises' company's financial information and it includes analyses of their general activities.

## შინაარსი

შესავალი .....	5
<b>თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია</b> .....	<b>8</b>
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი, მიზანი, მნიშვნელობა .....	8
1.2 ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურა და მაჩვენებელთა სისტემა საანალიზო საწარმოების მაგალითზე .....	11
1.3 საბრუნავი საშუალებების ანალიზის მეთოდები .....	22
<b>თავი 2. საანალიზო საწარმოების შედარებითი ანალიზი</b> .....	<b>26</b>
2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი .....	26
2.2 საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შედარებითი ანალიზის შედეგები .....	37
2.3 საქმიანი აქტივობისა და ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელთა შეფასების შედეგები .....	46
დასკვნა .....	53
გამოყენებული ლიტერატურა .....	56
დანართი .....	58

## შესავალი

**თემის აქტუალობა** - 2020-მა წელმა მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ვირუსმა, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა და მცირე დროში სწრაფად გავრცელდა, ყველა ქვეყნის ხელისუფლებას რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება აიძულა. მსოფლიოში შექმნილმა პანიკამ, პანდემიამ, რომელმაც ყველა ერი მოიცვა, ბევრ კომპანიას საექვო გაკოტრების საფრთხე შეუქმნა. წლის პირველ კვარტალში თითქოს ეკონომიკა მთლიანად გაჩერდა. მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა კომპანიას გარკვეული პერიოდი ფუნქციონირება აეკრძალა. რეგულაციების მოხსნის შემდგომ კომპანიები, რომლებსაც დადებითი ფინანსური მდგომარეობა და კრიზისების მართვის კარგი უნარი აღმოაჩნდათ, მარტივად დაუბრუნდნენ ფუნქციონირების პირვანდელ მდგომარეობას. ზოგის საქმიანი აქტიურობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო გარკვეულმა კომპანიებმა საერთოდ ვერ შეძლეს დაბრუნებულიყვნენ მსოფლიო ეკონომიკურ ასპარეზზე. 2020-მა წელმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ფინანსური სიძლიერის, სტაბილურობის და ზოგადად ფინანსური მდგრადობის შესწავლასა და ანალიზს.

მიიჩნევა, რომ ახლად დაწყებული ბიზნესის მხოლოდ 7%-ს შეუძლია გადარჩეს, განვითარდეს და ღირსეული კონკურენცია გაუწიოს კონკურენტებს. მას შემდეგ რაც კომპანია შეძლებს საქმიანობის გაფართოვებას, არ უნდა მოდუნდეს. საჭიროა, მუდმივად შეისწავლოს ფინანსების მდგომარეობა, ჩაატაროს ანალიზი და გამოავლინოს განვითარების ახალი პერსპექტივები. ეს დაეხმარება სტაბილურობის შენარჩუნებასა და ინვესტორების მოძიებაში.

საწარმოს საქმიანობის შედეგები და წარმატება დამოკიდებულია მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაბამისად ფინანსურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომპანიის გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, თავის დროზე გამოვლინდეს რისკები და საფრთხეები ფინანსურ საქმიანობაში. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით მოიძებნოს საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეზერვები. შეფასდეს რამდენად მარტივად

შეუძლია კომპანიას გაუმკლავდეს მოულოდნელ კრიზისებს. კრიზისისა და გაკოტრებისგან არცერთი კომპანია არ არის დაზღვეული. ეს 2020 წლის პანდემიამაც გვიჩვენა. ამიტომ საწარმო ყოველთვის ინფორმირებული უნდა იყოს თავისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

**კვლევის მიზანი** - მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგია“-ს მაგალითებზე, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარება. საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგრადობისა და სტაბილურობის, ასევე კომპანიების ერთი და იგივე შინაარსის მატარებელ მაჩვენებლებს შორის გამოვლენილი გაუმართლებელი გადახრების შესწავლა.

**ამოცანები** - კვლევის მიზნების მისაღწევად საჭიროა გარკვეული ამოცანების გადაჭრა:

- ფინანსური ანალიზის არსისა და მნიშვნელობის შეფასება;
- ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის, გადახდისუნარიანობისა და სხვა მაჩვენებლების შესწავლა;
- საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის ანალიზი.

**კვლევის საგანი** - კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობა გადახდისუნარიანობა, მდგრადობა, ლიკვიდურობა, ფინანსური ლევერიჯი და ეკონომიკური პოტენციალი.

**კვლევის ობიექტს** - წარმოადგენს შპს „მოდუსი“ და შპს „ბი ემ სი გორგია“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მოდუსი” დაფუძნებულია 2006 წელს. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ოთარ დარჩიძე (100%). საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ევროპის და აზიის მწარმოებლებისგან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალის და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში. კერძოდ ბათუმსა და თბილისში. საზოგადოება პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს სავაჭრო ობიექტებსა და ჰიპერმარკეტებში, რომელიც გაერთიანებულია 4 ფილიალად.

შპს „ბი ემ სი გორგია“ დაფუძნებულია 2008 წელს საქართველოში. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით, საცალო და

საბითუმო ვაჭრობა. ასევე პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის და დამონტაჟების მომსახურებას. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს მოდერნიზებულ ჰიპერმარკეტებში.

**კვლევის მეთოდები** - კვლევის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები და სტატიები. სხვადასხვა ლიტერატურა ეკონომიკური ანალიზისა და ფინანსების სფეროში.

**კვლევის შედეგი** - გაანალიზებულია საქართველოში დაფუძვნებული, სამშენებლო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში მოქმედი ორი კონკურენტი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. შეფასებულია მათი ფინანსური სტაბილურობის დონე. კვლევის მიზნებისათვის გამოყენებულია საწარმოების 2017 -2018 წლის ფინანსური ანგარიშგებები. კვლევა ძირითადად ეყრდნობა ბუღალტრული ბალანსის მონაცემებს.

# თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია

## 1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი, მიზანი, მნიშვნელობა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოს ფინანსური სურათის, მისი ფინანსური მდგომარეობისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესწავლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. გლობალიზაციისა და კონკურენციის ზრდის პირობებში ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომ ორგანიზაციის მმართველები, ინვესტორები თუ ზოგადად დამოუკიდებელი ფიზიკური პირები გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ ყურადღებას ანიჭებენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლას. შესაბამისად იზრდება ფინანსური ანალიზის როლი და პრიორიტეტულობაც. ფინანსური ანალიზი გულისხმობს, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის, რესურსების, აქტივების დაფინანსების წყაროების, კომპლექსურ და ძირეულ შესწავლას. ამასთანავე, საწარმოში არსებული რისკების ხარისხის შეფასებას და მათი აღმოფხვრის გზების ძიებას. აღნიშნული ფაქტორების შესწავლა აუცილებელია, რათა მიღებულ იქნას სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის მაქსიმიზაციისკენ. კიდევ ერთი ფაქტორი საწარმოთა ეფექტიანი მართვისთვის არის რესურსების გონივრული გამოყენება. კომპანიები საქმიანობის დასაწყისშივე განსაზღვრავენ აქტივების და რესურსების ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნების მიღწევისათვის, ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის მისაღები დონის შესანარჩუნებლად. სწორედ ფინანსური მდგომარეობის ღრმა შესწავლა და ანალიზი გამოავლენს რესურსების საჭირო დონეს და იმ პრობლემებს, რომლებიც ხელისშემშლელი შეიძლება გახდეს საწარმოს მომავალი განვითარებისათვის.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზნებს წარმოადგენს:

- ✓ წარსული საქმიანობისა და მიმდინარე მდგომარეობის შედარებითი შეფასება;
- ✓ საწარმოს მდგრადობის შესწავლა;
- ✓ საწარმოს ლიკვიდურობის შესწავლა;
- ✓ მომავალში საწარმოს პოტენციალის გამოვლენის სტრატეგიის შემუშავება;



- ✓ ფინანსურ საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენა;
- ✓ გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიება;
- ✓ ფინანსური მდგომარეობის და გადახდისუნარიანობის რეზერვების გამოვლენა;
- ✓ რეზერვების გამოყენების მეთოდების შემუშავება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არის მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც იგულისხმება საწარმოს უნარი დააფინანსოს თავისი საქმიანობა. იგი გვიჩვენებს საწარმოს კაპიტალის მდგომარეობას, მისი გამოყენებისა და ბრუნვის პროცესში.

სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მნიშვნელოვნად იცვლება საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა, რესურსების გამოყენება, აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროებს შორის თანაფარდობა. აღნიშნული ცვლილებები აისახება ფინანსურ მდგომარეობაში და წარმოდგენილი ინფორმაცია საბოლოო ჯამში გვაძლევს შესაძლებლობას, შევაფასოთ კომპანიის გადახდისუნარიანობა და მომგებიანობის დონე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი არის ფართო და კომპლექსური ცნება, რომელიც წარმოდგენილია მაჩვენებელთა სისტემით. ანალიზის საფუძველზე ფასდება საწარმოს გადახდისუნარიანობა, მდგრადობა, ლიკვიდურობა, მომგებიანობა, საქმიანი აქტიურობა, რენტაბელობა, განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობები და სხვა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული. თუ კომპანია წარმატებით ახორციელებს რესურსების გამოყენებას, აკონტროლებს კაპიტალის სტრუქტურის შემადგენლობას, ამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და ზრდის გაყიდვების მოცულობას, აქვს უნარი განვითარდეს, შეინარჩუნოს კაპიტალის და აქტივების მისაღები ან იდეალური წონასწორობა, არის მუდმივად ინვესტორებისთვის მიმზიდველი, მარტივად ადაპტირდება გარე ფაქტორებით გამოწვეულ ცვლილებებზე და ინარჩუნებს გადახდისუნარიანობას, მიიჩნევა რომ კომპანია ფინანსურად მდგრადია.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა დამოკიდებულია საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია საქმიანობა განხორციელდეს ფინანსური გეგმის ფარგლებში. მმართველმა რგოლმა ყურადღება გაამახვილოს კაპიტალის სტრუქტურაზე, ლიკვიდურობასა და რისკებზე.

ფინანსური ანალიზის სუბიექტებს წარმოადგენენ სპეციალურად შერჩეული სპეციალისტები, საწარმოს დირექტორთან შეთანხმებით და ზედამხედველობით.

ანალიზის საგანს წარმოადგენს ფინანსური მაჩვენებლების შესწავლა, მათი ცვლილებები და ამ ცვლილებების გავლენა როგორც ერთმანეთზე, ასევე ზოგადად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფინანსური ანალიზის ობიექტია საწარმოს საქმიანობა და ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება სამუშაო პროცესში და გავლენას ახდენენ ფინანსურ მდგომარეობაზე.

რატომ არის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ასეთი მნიშვნელოვანი?! ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე რთულია. ფინანსური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება და ეფექტიანობა. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა მმართველმა გუნდმა იცოდეს როდის, სად და რა გადაწყვეტილება მიიღოს. სწორედ, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეშვეობით ვლინდება ის რისკები, ფაქტორები და პრობლემები, რომლებმაც შესაძლოა კომპანია მიიყვანოს გაკოტრებამდე. ასევე იძლევა საშუალებას გამოვლინდეს და განისაზღვროს საწარმოს ფინანსური რეზერვები და მათი გამოყენების გზები. ამასთანავე, ანალიზის შედეგებს საჭიროა მოყვეს რეაგირება, დაისახოს სტრატეგია და მალევე განხორციელდეს.

ფინანსური ანალიზის ჩატარების პროცესში შეისწავლება საწარმოს ურთიერთობები სხვა საწარმოებთან, პარტნიორებთან და დამოკიდებულ სუბიექტებთან. განისაზღვრება, შეიცვალა თუ არა გარკვეული მაჩვენებლები წინა პერიოდის მაჩვენებლებთან მიმართებაში და რამ გამოიწვია ეს. ანალიზის ჩატარებისას ანალიტიკოსი არა მარტო შეისწავლის ფინანსურ მდგომარეობას, მოცემული აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლების საფუძველზე გვიქმნის მოლოდინს და პროგნოზს საწარმოს მომავალ საქმიანობაზე. მისი მიმდინარეობისას გამოიყენება წარსული და მიმდინარე წლის მონაცემები და იქმნება მოლოდინი მომავალ პერიოდზე, ფულადი ნაკადების ბრუნვაზე.

მნიშვნელოვანია ასევე ვისაუბროთ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ინფორმაციულ წყაროებზე. აუცილებელი ანალიტიკური ოპერაციების ჩასატარებლად საჭიროა ანალიზის პროცესი უზრუნველოფილი იყოს ინფორმაციული რესურსებით.

ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და სრული, რათა ანალიზის შემდგომ მიღებულმა შედეგებმა საწარმოს მოუტანოს სარგებელი. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს კომპანიის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგება და მისი კომპონენტები. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი), მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება, ასევე ცალკეული პირველადი და ანალიზური დოკუმენტები.

ანალიზისათვის ყველაზე ინფორმაციულ დოკუმენტს წარმოადგენს ბალანსი, რადგან სწორედ ბალანსშია მოცემული ინფორმაცია აქტივების, კაპიტალის, ვალდებულებების, მოთხოვნების შესახებ, რაც ანალიტიკოსს აძლევს საშუალებას შეისწავლოს და შეაფასოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ჩემ მიერ ნაშრომში წარმოდგენილი საწარმოების ანალიზის ჩატარებისას, ძირითადი ინფორმაცია რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ აღებულია, სწორედ საწარმოების მიერ წარმოდგენილი ბალანსიდან.

ბალანსის ანალიზი არის საკმაოდ რთული პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება მისი მუხლების დინამიკაში შესწავლა. ანალიზის მიზნებისათვის ბალანსში აქტივები ჯგუფდება ლიკვიდურობის, ხოლო პასივები დაფარვის ვადის მიხედვით.

## 1.2 ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურა და მაჩვენებელთა სისტემა საანალიზო საწარმოების მაგალითზე

უშუალოდ ანალიზის პროცესზე გადასვლამდე, განვიხილოთ რა არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) და მისი მაჩვენებლები. ბალანსი გვიქმნის წარმოდგენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და გვამცხევს საშუალებას განვსაზღვროთ, რა მიმართულებით უნდა ჩატარდეს ანალიზი.

<sup>1</sup>ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც დროის განსაზღვრული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულად ფორმაში ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს.

---

<sup>1</sup>ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011

ბალანსი წარმოდგენილია ორი ნაწილით: პირველ ნაწილში გაერთიანებულია აქტივები ანუ ეკონომიკური რესურსები, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ამ რესურსების დაფინანსების წყაროებს, როგორცაა ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ბალანსის შედგენისას მთავარი პრინციპი, რომელიც საწარმომ უნდა დაიცვას არის ორმხრივობა. აღნიშნული პრინციპის არსი შეგვიძლია გადმოვცეთ შემდეგი ტოლობის მიხედვით:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებებს} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ბაას 1 ის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი უნდა იყოს ბრუნვაში მონაწილეობის ან ლიკვიდურობის მიხედვით. ჩემ მიერ შესწავლილი საწარმოების ანგარიშგებებიდან შპს „ბი ემ სი გორგია“-ს 2017 წლის ანგარიშგებაში აღნიშნული პრინციპი არ არის დაცული. თუმცა 2018 წლის ბალანსი უკვე წარმოდგენილია ლიკვიდურობის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული ფაქტორი ხელს არ შეგვიძლის სწორი ანალიზის ჩატარებაში.

ბალანსში ვხვდებით გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებს. გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, არამატერიალური აქტივები, გასაყიდად გამიზნული სხვა გრძელვადიანი აქტივები და სხვა. მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, მისაღები პროცენტები და სხვა.

ისევე როგორც აქტივები, ვალდებულებებიც წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად. გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება გრძელვადიანი სესხები, კრედიტები და სხვა . მოკლევადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება საგადასახადო ვალდებულებები, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტები, სავაჭრო დავალიანებები და სხვა.

ბალანსი შეიძლება შედგეს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმით. ჩემ მიერ შერჩეული საანალიზო საწარმოების ბალანსები წარმოდგენილია ვერტიკალური ფორმით. იხ. დანართები.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საწარმოში რესურსების განლაგებას. ძირითადი და საბრუნავი საშუალებების თანაფარდობას. ფულადი სახსრების მოცულობას, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდურობის დონეს. საწარმოში შენარჩუნებული უნდა იყოს ლიკვიდურობის ნორმალური მაჩვენებელი. არსებული საწარმოო სიმძლავრეები გამოიყენებოდეს ბოლომდე. მარაგების უქონლობის გამო არ ფერხდებოდეს წარმოება არც მათი ზენორმატიული რაოდენობაა კარგი ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი. აღნიშული ფაქტორები გავლენას ახდენენ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. შესაბამისად აქტივების ანალიზის პროცესში, პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ სტრუქტურული ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულია შერჩეული საწარმოების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურების დინამიკა. მუხლები დალაგებულია ლიკვიდურობის მიხედვით, რათა მოგვეცეს უკეთ აღქმის და ანალიზის საშუალება.

**შპს „მოდუსი“- ს ბალანსის საერთო სტრუქტურის დინამიკა (ცხრილი 1.2.1)**

შპს „მოდუსი“	ათასი ლარი							
	2016	ხვ. წილი %	2017	ხვ. წილი %	გად ახრა %	2018	ხვ. წილი %	გადა ხრა %
აქტივები								
მიმდინარე აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 775	2,7	2 820	3,1	0,4	1 110	1,1	-2,1
მოკლევადიანი მოთხოვნები	6 265	9,6	8 440	9,4	-0,2	12 722	12,5	3,1
მისაღები პროცენტები	679	1,0	1 278	1,4	0,4	1 587	1,6	0,1
მარაგები	29 421	45,0	43 495	48,5	3,5	50 445	49,6	1,1
გაცემული ავანსები	1 571	2,4	3 168	3,5	1,1	2 061	2,0	-1,5
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>39 711</b>	<b>60,8</b>	<b>59 201</b>	<b>66,0</b>	<b>5,3</b>	<b>67 925</b>	<b>66,8</b>	<b>0,7</b>
გრძელვადიანი აქტივები								
ძირითადი საშუალებები	25 146	38,5	28 694	32,0	-6,5	31 374	30,8	-1,2

არამატერიალური აქტივები	31	0,0	52	0,1	0,0	55	0,1	0,0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	452	0,7	1 696	1,9	1,2	2 353	2,3	0,4
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>25 629</b>	<b>39,2</b>	<b>30 442</b>	<b>34,0</b>	<b>-5,3</b>	<b>33 782</b>	<b>33,2</b>	<b>-0,7</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>65 340</b>	<b>100,0</b>	<b>89 643</b>	<b>100,0</b>	<b>0,0</b>	<b>101 707</b>	<b>100,0</b>	<b>0,0</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>								
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>								
მოკლევადიანი ვალდებულებები	12 016	59,8	7 801	23,4	-36,4	8 065	22,6	-0,8
მიღებული ავანსები	482	2,4	2 708	8,1	5,7	679	1,9	-6,2
საგადასახადო ვალდებულებები	568	2,8	187	0,6	-2,3	338	0,9	0,4
გადასახდელი ხელფასები	-		2	0,0	0,0	1	0,0	0,0
გადასახდელი პროცენტები	-		355	1,1	1,1	421	1,2	0,1
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>11 930</b>	<b>59,4</b>	<b>11 053</b>	<b>33,2</b>	<b>-26,2</b>	<b>9 504</b>	<b>26,6</b>	<b>-6,5</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>								
გრძელვადიანი სესხები	8 158	40,6	22 255	66,8	26,2	26 162	73,4	6,5
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>8 158</b>	<b>40,6</b>	<b>22 255</b>	<b>66,8</b>	<b>26,2</b>	<b>26 162</b>	<b>73,4</b>	<b>6,5</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>20 088</b>	<b>100,0</b>	<b>33 308</b>	<b>100,0</b>	<b>0,0</b>	<b>35 666</b>	<b>100,0</b>	<b>0,0</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>					0,0		-	0,0
საწესდებო კაპიტალი	2	0,0	2	0,0	0,0	2	0,0	0,0
გაუნაწილებელი მოგება	40 384	89,2	45 250	80,3	-8,9	56 333	85,3	5,0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	4 866	10,8	11 083	19,7	8,9	9 706	14,7	-5,0
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>45 252</b>	<b>100,0</b>	<b>56 335</b>	<b>100,0</b>		<b>66 041</b>	<b>100,0</b>	
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>65 340</b>		<b>89 643</b>			<b>101 707</b>		

ცხრილი 1.2.1-ში მოცემულია ბალანსის სამივე კომპონენტის აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა, დინამიკა და გადახრა წლების მიხედვით. აღნიშნულ მონაცემებს გამოვიყენებთ მთელი ანალიზის მიმდინარეობისას.

*აქტივების სტრუქტურა*- 2018 წლის მონაცემებით საწარმოს მთლიანი აქტივების ჯამი შეადგენს 101 707 ათას ლარს, რაც 55%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. საწარმოს

ახასიათებს აქტივების ზრდის ტენდენციას. აქტივების 67%-ს შეადგენს მიმდინარე აქტივები, ხოლო 33 %-ს გრძელვადიანი აქტივები. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი ბოლო 2 წლის განმავლობაში გაზრდილია, ანუ საწარმოში გაიზარდა სწრაფად ბრუნვადი აქტივების მოცულობა, რაც დადებითად უნდა ასახულიყო მომგებიანობაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ბალანსის რომელი მუხლის ცვლილებამ გამოიწვია ეს შედეგი. 2018 წლის მონაცემებით აქტივების თითქმის ნახევარს, 50%-ს შეადგენს მარაგები, რომელიც ნელა რეალიზებადი აქტივების ჯგუფს მიეკუთვნება. ეს შესაძლოა უარყოფითად აისახოს საწარმოს ლიკვიდურობაზე. აღნიშნული მოსაზრების სისწორე გამოჩნდება ნაშრომის შემდეგ ნაწილში, ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოთვლისას. მარაგების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში სამივე წლის მიხედვით იზრდება. 2017 წელში ზრდა გამოწვეულია საქონლის მოცულობის ცვლილებით. ასევე გაზრდილია ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის ოდენობა. მოსალოდნელია ტენდენციის გაგრძელება მომავალშიც. საწარმო ფლობს ფულადი საშუალებების მცირე მოცულობას, აქტივების მხოლოდ 1,1 %-ს, რაც 2,1 %-ით ნაკლებია 2017 წლის მონაცემებთან მიმართებაში. შესაბამისად ეს შეამცირებდა ლიკვიდურობის დონეს, რადგან საწარმოს ლიკვიდურობა დამოკიდებულია მიმდინარე ვალდებულებების ფულადი სახსრებით დაფარვის შესაძლებლობაზე. 3,1 %-ით გაზრდილია სავაჭრო მოთხოვნების ხვედრითი წილი და შეადგენს 12,5%-ს. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს რეალიზაციის მოცულობის ზრდით. ძირითადი საშუალებების მოცულობა 2017 წელთან შედარებით გაზრდილია, მაგრამ შემცირებულია მისი ხვედრითი წილი აქტივებში. ასევე 1,5 %-ით შემცირებულია გაცემული ავანსების ხვედრითი წილიც.

*ვალდებულებების სტრუქტურა*- 2018 წელს საწარმოს ვალდებულებები შეადგენს 35 666 ათას ლარს. ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხებს, მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს, გასაცემ ხელფასს, გადასახდელ პროცენტს, მიღებულ ავანსებს და გადასახდელ გადასახადებს. მთლიანი ვალდებულებების 73,4 %-ს შეადგენს გრძელვადიანი სესხები, რაც 6,5%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს. აქტივების რომელი მუხლებია დაფინანსებული გრძელვადიანი სესხით ამას ანალიზი გვიჩვენებს. ვალდებულებების 22,6 %-ს შეადგენს მოკლევადიანი, კრედიტორული ვალდებულებები,

ბოლო 1,9%-ს მიღებული ავანსები. წინა წელთან შედარებით მცირედით შემცირებულია მოცემული მუხლების ხვედრითი წილები.

*საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა* - შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან. აღსანიშნავია, რომ არ შეცვლილა საწესდებო კაპიტალის მოცულობა. გაუნაწილებელი მოგება გაიზარდა საანგარიშგებო პერიოდის მოგებით. 2017 წლიდან არ გაცემულა დივიდენდები, რაც სავარაუდოდ გამოიწვია საქართველოს მთავრობის მიერ მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლამ. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად 2017 წლიდან მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმოში ბოლო 3 წელი არ შეიმჩნევა ბალანსის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება. რა თქმა უნდა არის გადახრები სხვადასხვა მუხლებში, მაგრამ გადახრის პროცენტი 6,5-ს არ სცილდება.

**შპს „ ბი ემ სი გორგია“- ს ბალანსის საერთო სტრუქტურის დინამიკა (ცხრილი 1.2.2)**

შპს „ ბი ემ სი გორგია“	ათასი ლარი							
	2016	ხვ/წილი %	2017	ხვ/წილი %	გადახრა %	2018	ხვ/წილი %	გადახრა %
<b>აქტივები</b>								
<b>მიმდინარე აქტივები</b>								
ფული და ფულის ექვივალენტები	3 952	5,1	1 003	1,1	-4,0	3 514	3,3	2,2
სავაჭრო დავალიანებები	28 491	36,7	16 779	17,9	-18,8	19 592	18,2	0,4
წილის და ძ. საშუალებ რეალიზაციიდან მის. დავალიანება			66	0,1	0,1	3 518	3,3	3,2
მარაგები	30 332	39,0	46 700	49,7	10,7	49 350	45,9	-3,8
საკონტრაქტო აქტივები	48	0,1	1 164	1,2	1,2	430	0,4	-0,8
გაცემული სესხები	242	0,3	430	0,5	0,1	303	0,3	-0,2
სხვა აქტივები			848	0,9	0,9	961	0,9	0,0
წინასწარ გაწეული ხარჯები	6 442	8,3	14	0,0	-8,3	35	0,0	0,0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>69 507</b>	<b>89,4</b>	<b>67 004</b>	<b>71,3</b>	<b>-18,1</b>	<b>77 703</b>	<b>72,3</b>	<b>1,0</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>								
ძირითადი საშუალებები	7 957	10,2	11 785	12,5	2,3	16 902	15,7	3,2



არამატერიალური აქტივები	246	0,3	292	0,3	0,0	269	0,3	-0,1
სხვა გრძელვადიანი აქტივები			14 885	15,8	15,8	12 574	11,7	-4,1
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>8 203</b>	<b>10,6</b>	<b>26 962</b>	<b>28,7</b>	<b>18,1</b>	<b>29 745</b>	<b>27,7</b>	<b>-1,0</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>77 710</b>	<b>100,0</b>	<b>93 966</b>	<b>100,0</b>		<b>107 448</b>	<b>100,0</b>	
<b>ვალდებ. და კაპიტალი</b>								
<b>მოკლ. ვალდებულებები</b>								
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები	34 311	59,2	47 466	61,5	2,4	47 411	59,4	-2,1
მიღებული ავანსები	1 149	2,0			-2,0		-	0,0
საგადასახადო ვალდებულებები	1 272	2,2	1 480	1,9	-0,3	680	0,9	-1,1
მიღებული სესხი	21 270	36,7	25 925	33,6	-3,1	27 623	34,6	1,0
გადასახდელი ხელფასები								
გადასახდელი პროცენტები								
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>58 002</b>	<b>100,0</b>	<b>74 871</b>	<b>97,0</b>	<b>-3,0</b>	<b>75 714</b>	<b>94,9</b>	<b>-2,1</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		-		-			-	
გრძელვადიანი სესხები	-	-	2 290	3,0	3,0	4 062	5,1	2,1
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		-	<b>2 290</b>	<b>3,0</b>	<b>3,0</b>	<b>4 062</b>	<b>5,1</b>	<b>2,1</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>58 002</b>	<b>100,0</b>	<b>77 161</b>	<b>100,0</b>		<b>79 776</b>	<b>100,0</b>	
<b>საკუთარი კაპიტალი</b>								
საწესდებო კაპიტალი	0,2	0,0	0,2	0,0	0,0	152	0,5	0,5
გაუნაწილებელი მოგება	19 708	100,0	16 805	100,0	0,0	27 520	99,5	-0,5
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>19 708</b>	<b>100,0</b>	<b>16 805</b>	<b>100,0</b>		<b>27 672</b>	<b>100,0</b>	
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>77 710</b>		<b>93 966</b>			<b>107 448</b>		

*აქტივების სტრუქტურა*- 2018 წლის მონაცემებით საწარმოს მთლიანი აქტივების ჯამი შეადგენს 107 448 ათას ლარს, რაც 38%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. საწარმოს ახასიათებს განვითარების და აქტივების ზრდის ტენდენცია. აქტივების 72%-ს შეადგენს მიმდინარე აქტივები, ხოლო 28 %-ს გრძელვადიანი აქტივები. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი 2016 წელს 89%-ს ხოლო 2017 წელს 71%-ს შეადგენდა. 18% -იანი ცვლილება გამოიწვია სავაჭრო დებიტორული დავალიანებების შემცირებამ. მარაგების

წილი შეადგენს 45 %-ს. განსხვავებით შპს „მოდუსი“-სა შეინიშნება მარაგების წილის შემცირება. ფულადი საშუალებების დინამიკა ცვალებადია. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შეინიშნება 4%-იანი შემცირება, ხოლო 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 2,2 %-ით გაიზარდა და 3,3 %-ს შეადგინა. ფულადი საშუალებების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 2015 წელს ფიქსირდება. სავაჭრო დავალიანებების წილი 2018 წელს 2016 წელთან შედარებით განახევრებულია და 18%-ს შეადგენს, რაც საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად აისახა. აქტივების 3,3 %-ს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მისაღები მოთხოვნებია.

გრძელვადიანი აქტივები მოიცავს ძირითად საშუალებებს ( შენობებს, მანქანა-დანადგარებს და სხვა), არამატერიალურ და სხვა გრძელვადიან აქტივებს. 2018 წლის მონაცემებით გაზრდილია ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი აქტივებში, ხოლო შემცირებულია არამატერიალური და სხვა აქტივები.

*ვალდებულებების სტრუქტურა* - ვალდებულებების 95% შედგება მიმდინარე ვალდებულებებისაგან. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის სფეროდან. იგი ეწევა ევროპიდან და აღმოსავლეთიდან სამშენებლო მასალების იმპორტს და შემდგომ ყიდის საბითუმოდ და საცალოდ. შესაბამისად, სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების არსებობა არ იძლევა შიშის საფუძველს. სავაჭრო დავალიანებები შედაგენს ვალდებულებების 60%-ს. ძალიან მაღალია მიღებული სესხის წილი, რომელიც 35%-ს შეადგენს. საწარმო აქტიურად იყენებს მოზიდულ სახსრებს საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. კომპანია ორიენტირებულია მოკლევადიან სესხებზე, რომელსაც ფარავს საანგარიშგებო წელს. გრძელვადიანი სესხების წილი მხოლოდ 5%-ია. კომპანია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფის სახით გამოყენებული აქვს საკუთრებაში არსებული და მომავალში შეძენილი საბრუნავი საშუალებები, მათ შორის სასაქონლო მარაგები 5,000,000 (ხუთი მილიონი) ევროს ოდენობით, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენდა 15,350,500 ლარს.

*საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა* - შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალის მოცულობა 2018 წელს გაიზარდა

152 ათასი ლარით. სავარაუდოდ კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო კომპანიის დამოუკიდებლობის დაბალ მაჩვენებელთან. გაუნაწილებელი მოგება გაზრდილია. დივიდენდები არ გაცემულა 2017 წლის შემდგომ.

**შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგია“-ს სტრუქტურების შედარება დროში  
(ცხრილი 1.2.3)**

	2016 ხვწილი %		სხვაობა მოდუს სა და გორგია ს შორის	2017 ხვწილი %		სხვაობა მოდუს სა და გორგია ს შორის	2018 ხვწილი %		სხვაობა მოდუს სა და გორგია ს შორის
	შპს „მოდუს ი“	შპს,, ბი ემ სი გორგია ა“		შპს „მოდუს ი“	შპს,, ბი ემ სი გორგია ა“		შპს „მოდუს ი“	შპს,, ბი ემ სი გორგია ა“	
<b>აქტივები</b>									
<b>მიმდინარე აქტივები</b>									
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,7	5,1	<b>-2,3</b>	3,2	1,1	<b>2,1</b>	1,1	3,3	<b>-2,2</b>
მოკლევადიანი მოთხოვნები	9,7	36,7	<b>-27,0</b>	9,6	17,9	<b>-8,3</b>	12,7	18,2	<b>-5,5</b>
მარაგები	45,5	39,0	<b>6,5</b>	49,2	49,7	<b>-0,5</b>	50,4	45,9	<b>4,5</b>
გაცემული ავანსები	2,4		<b>2,4</b>	3,6		<b>3,6</b>	2,1		<b>2,1</b>
მისაღები პროცენტები	1,1	0,3	<b>0,7</b>	1,4	0,5	<b>0,9</b>	1,6	0,3	<b>1,3</b>
საკონტრაქტო აქტივები		0,1	<b>-0,1</b>		1,2	<b>-1,2</b>		0,4	<b>-0,4</b>
სხვა აქტივები			<b>0,0</b>		0,9	<b>-0,9</b>		0,9	<b>-0,9</b>
წინასწარ გაწეული ხარჯები		8,3	<b>-8,3</b>		0,0	<b>0,0</b>		0,0	<b>0,0</b>
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>60,4</b>	<b>89,4</b>	<b>-29,0</b>	<b>65,5</b>	<b>71,3</b>	<b>-5,8</b>	<b>66,3</b>	<b>72,3</b>	<b>-6,0</b>
<b>გრძ. აქტივები</b>									
ძირითადი საშუალებები	38,9	10,2	<b>28,6</b>	32,5	12,5	<b>19,9</b>	31,3	15,7	<b>15,6</b>
არამატერიალური აქტივები	0,0	0,3	<b>-0,3</b>	0,1	0,3	<b>-0,3</b>	0,1	0,3	<b>-0,2</b>
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0,7		<b>0,7</b>	1,9	15,8	<b>-13,9</b>	2,4	11,7	<b>-9,4</b>
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>39,6</b>	<b>10,1</b>	<b>29,6</b>	<b>34,5</b>	<b>28,7</b>	<b>5,8</b>	<b>33,7</b>	<b>27,7</b>	<b>6,0</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>0</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>0</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>0</b>

<b>ვალდ. და კაპიტალი</b>									
<b>მოკლ. ვალდებულებები</b>									
მოკლევადიანი ვალდებულებები	59,8	59,2	<b>0,6</b>	23,4	61,5	<b>-38,1</b>	22,6	59,4	<b>-36,8</b>
მიღებული ავანსები	2,4	2,0	<b>0,4</b>	8,1		<b>8,1</b>	1,9	-	<b>1,9</b>
საგადასახადო ვალდებულებები	2,8	2,2	<b>0,6</b>	0,6	1,9	<b>-1,4</b>	0,9	0,9	<b>0,1</b>
მიღებული სესხები		36,7	<b>-36,7</b>		33,6	<b>-33,6</b>		34,6	<b>-34,6</b>
გადასახ. ხელფასები			<b>0,0</b>	0,0		<b>0,0</b>	0,0		<b>0,0</b>
გადასახდელი პროცენტები			<b>0,0</b>	1,1		<b>1,1</b>	1,2		<b>1,2</b>
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>59,4</b>	<b>100,0</b>	<b>-40,6</b>	<b>33,2</b>	<b>97,0</b>	<b>-63,8</b>	<b>26,6</b>	<b>94,9</b>	<b>-68,3</b>
<b>გრძ. ვალდებულებები</b>									
გრძელვადიანი სესხები	40,6		<b>40,6</b>	66,8	3	<b>63,8</b>	73,4	5,1	<b>68,3</b>
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>40,6</b>		<b>40,6</b>	<b>66,8</b>	<b>3,0</b>	<b>63,8</b>	<b>73,4</b>	<b>5,1</b>	<b>68,3</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>									
საწესდებო კაპიტალი	0,0	0,0	<b>0,0</b>	0,0	0,0	<b>0,0</b>	0,0	0,5	<b>-0,5</b>
გაუნაწილებელი მოგება	89,2	100,0	<b>-10,8</b>	80,3	100,0	<b>-19,7</b>	85,3	99,5	<b>-14,2</b>
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10,8		<b>10,8</b>	19,7		<b>19,7</b>	14,7		<b>14,7</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>	<b>100,0</b>		<b>100,0</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>									

შერჩეული საწარმოები ფუნქციონირებენ ერთსა და იმავე დარგში და წარმოადგენენ კონკურენტებს. სტრუქტურების შედარებითმა ანალიზმა გამოკვეთა ბალანსის ის მუხლები, რომელთა ხვედრითი წილი განსხვავებულია საწარმოთა შორის. ყველაზე დიდი სხვაობა შეინიშნება ვალდებულებებში. შპს, „ბი ემ სი გორგია“-ს გრძელვადიანი სესხების ხვედრით წილსა და შპს, „მოდუსი“-ს გრძელვადიანი სესხების ხვედრით წილს შორის არსებობს 68 %-იანი გადახრა. საპირისპიროდ, შპს, „ბი ემ სი

გორგია“-ს მიმდინარე ვალდებულებების ხვედრითი წილი 68 %-ით აღემატება შპს,, მოდუსი“-ს მოკლევადიან ვალდებულებებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შპს,, ბი ემ სი გორგია“ ორიენტირებულია მოკლევადიანი მოზიდული აქტივების ეფექტიან ბრუნვაზე. რაც შეეხება საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს, არ შეინიშნება მუხლების ხვედრითი წილების მკვეთრი სხვაობა. კომპანიებს აქვთ განსხვავებული სტრატეგიები აქტივების დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ბუღალტრულ ბალანსში გადმოცემული ინფორმაცია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ფინანსური ანალიზისათვის. მისი საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ

- ✓ აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სასურველი და არასასურველი ტენდენციები;
- ✓ ფინანსური დამოუკიდებლობა და დამოკიდებულების დონე;
- ✓ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე მოქმედი ფაქტორები;
- ✓ აქვს თუ არა საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა;
- ✓ სტაბილურობა და მდგრადობა;
- ✓ კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების მდგომარეობა;
- ✓ საწარმოს საქმიანი აქტიურობის ხარისხი;

აღნიშნული მიზნების მისაღწევად შეგვიძლია გამოვიყენოთ ბუღალტრული ბალანსის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები ბალანსზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება იყოს საკუთარი ანუ კერძო და კომბინირებული.

- ❖ ბალანსის კერძო, ინდივიდუალური მაჩვენებლების გამოსათვლელად საკმარისია მხოლოდ ბალანსში მოცემული ინფორმაცია. ეს მაჩვენებლები შეიძლება დავყოთ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მაჩვენებლებად.

ვერტიკალურია - ლიკვიდურობის კოეფიციენტები, სტრუქტურული კოეფიციენტები, სტაბილურობის კოეფიციენტი, საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტები.

ჰორიზონტალურია - დინამიკური კოეფიციენტები, საბრუნავი საშუალებების, ფინანსური სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლები.

- ❖ კომბინირებული მაჩვენებლების გამოსათვლელად მხოლოდ ბალანსის ინფორმაცია არ არის საკმარისი და საჭიროა სხვა ანგარიშგებიდან მიღებული ინფორმაციაც. აღნიშნულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება - მარაგების ბრუნვადობა, აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი, მოთხოვნების ინკასაციის, კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი და სხვა კოეფიციენტები.

### 1.3 საბრუნავი საშუალებების ანალიზის მეთოდები

საბრუნავი ანუ მიმდინარე აქტივები ბალანსის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს. საანალიზო საწარმოების მაჩვენებლების მიხედვით მიმდინარე აქტივებს, მთლიან აქტივებში დიდი წილი უკავია. მოცემული საწარმოების შემთხვევაში დაახლოებით 70 %. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი ანალიზი. მეწარმე საქმიანობის განხორციელებისას თავის სახსრებს აბანდებს გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებში. გრძელვადიანი აქტივებია ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და სხვა. აღნიშნული დაბანდებიდან მეწარმე ეკონომიკურ სარგებელს რამდენიმე წლის განმავლობაში ღებულობს. სახსრები ასევე შეიძლება დაბანდდეს მიმდინარე აქტივებში, რომელსაც მეწარმე იმავე წელს იბრუნებს და ხორციელდება ხელახალი დაბანდება.

მიმდინარე აქტივების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი სესხები ასევე გრძელვადიანი. დაფინანსების წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს საკუთარი კაპიტალი. თანამედროვე ლიტერატურაში გადმოცემულია , რომ ძველი მიდგომა ,რომელიც გულისხმობდა საბრუნავი საშუალებების გამოთვლას მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სხვაობით, შეუსაბამოა თანამედროვე საწარმოების ანალიზისათვის. მიმდინარე აქტივი არის რესურსი რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და გათვლილია ის ფულად სახსრებად გადაიქცევა 1 წლის განმავლობაში. მიმდინარე აქტივი არის აქტივის ფიზიკური მდგომარეობა, ხოლო საბრუნავი კაპიტალი მასში დაბანდებული ღირებულება.

თანამედროვე ეკონომისტების ნაშრომებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია , ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ტერმინები წმინდა მიმდინარე აქტივები და საბრუნავი საშუალებები. წმინდა მიმდინარე აქტივები არის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობა. საბრუნავი საშუალების გამოთვლისას, წმინდა მიმდინარე აქტივი უნდა შევამციროთ აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობით. მეცნიერები აღნიშნავენ ,რომ საბრუნავი საშუალებების მოცულობის გამოთვლა შეუძლებელია მხოლოდ ბალანსზე დაყრდნობით და აუცილებელია კომპანიებმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მიუთითონ მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მოცულობა. გამომდინარე იქიდან რომ საანალიზო საწარმოების არცერთ ანგარიშგებაში არ არის მსგავსი სახის ინფორმაცია მოცემული, რთული იქნება განსახილველი კომპანიების საბრუნავი საშუალებების განსაზღვრა.

**შპს „ მოდუსი“ წმინდა მიმდინარე აქტივები ცხრილი (1.3.1)**

შპს „მოდუსი“	ათასი ლარი		
	2016 წლის 31 დეკ.	2017 წლის 31 დეკ.	2018 წლის 31 დეკ.
სულ მიმდინარე აქტივები	<b>39 711</b>	<b>59 201</b>	<b>67 925</b>
სულ გრძელვადიანი აქტივები	25 629	30 442	33 782
სულ აქტივები	65 340	89 643	101 707
სულ მიმდინარე ვალდებულებები	<b>11 930</b>	<b>11 053</b>	<b>9 504</b>
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8 158	22 255	26 162
სულ საკუთარი კაპიტალი	45 252	56 335	66 041
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	65 340	89 643	101 707
<b>წმინდა მიმდინარე აქტივები</b>	<b>27 781</b>	<b>48 148</b>	<b>58 421</b>

შპს „ მოდუსი“-ს წმინდა მიმდინარე კაპიტალი დადებითია, თუმცა ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ გრძელვადიანი ვალდებულებებითაა დაფინანსებული თუ საკუთარი კაპიტალით.

**შპს „ ბი ემ სი გორგია“ წმინდა მიმდინარე აქტივები ცხრილი (1.3.2)**

შპს „ ბი ემ სი გორგია“	ათასი ლარი		
	2016 წლის 31 დეკ.	2017 წლის 31 დეკ.	2018 წლის 31 დეკ.
სულ მიმდინარე აქტივები	69 507	67 004	77 703
სულ გრძელვადიანი აქტივები	8 203	26 962	29 745
სულ აქტივები	77 710	93 966	107 448
სულ მიმდინარე ვალდებულებები	58 002	74 871	75 714
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 290	4 062
სულ საკუთარი კაპიტალი	19 708	16 805	27 672
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	77 710	93 966	107 448
<b>წმინდა მიმდინარე აქტივები</b>	<b>11 505</b>	<b>-7867</b>	<b>1 989</b>

2017 წლის მონაცემებით შპს „ბი ემ სი გორგია“-ს წმინდა მიმდინარე აქტივები უარყოფითია, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ამ წელს კომპანიას საერთოდ არ გააჩნდა საბრუნავი საშუალებები. 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით საწარმოს აქვს გრძელვადიანი სესხებიც და საკუთარი კაპიტალიც, ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა რომ 2018 წელს გაიზარდა საწესდებო კაპიტალი, თუმცა ბალანსის რომელ მუხლებში წარიმართა შეტანილი თანხები არ არის მოცემული.

ქართველი მეცნიერები ეკონომიკურ ლიტერატურაში გადმოგვცემენ მიმდინარე აქტივების დაფინანსების შესახებ ინფორმაციას, დასავლეთში არსებული პრაქტიკის მიხედვით. გამოყოფენ სამ მოდელს: აგრესიული, კონსერვატიული, კომპრომისული. შვეისწავლოთ 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით რომელ მოდელს მიეკუთვნებიან საანალიზო საწარმოები.

**მიმდინარე აქტივების დაფინანსების მოდელი. ცხრილი (1.3.3)**

აგრესიული მოდელი	ათასი ლარი	
	შპს „მოდუსი“	შპს „გორგია“
გრძელვადიანი აქტივები+მარაგები=საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები	84227 და 92203	79095 და 31 734
<b>კონსერვატიული მოდელი</b>		
წმინდა მიმდინარე აქტივები = მიმდინარე აქტივი	58421 და 67 925	1989 და 49 350
<b>კომპრომისული მოდელი</b>		
წმინდა მიმდინარე აქტივები=მარაგი+0,5x მარაგების ცვალებადი ნაწილი	58421 და 59185	1989 და 63527

სრულდება

არ სრულდება



როგორც ცხრილიდან ჩანს, შპს „ მოდუსი“ კომპრომისული მოდელის პირობას თითქმის აკმაყოფილებს, ხოლო მეორე საწარმო ვერ ჯდება მოდელის ვერცერთ სახეობაში.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის შესწავლა შესაძლებელია ბრუნვაობის მაჩვენებლებით. არსებობს ბრუნვაობის სამი სახის მაჩვენებელი:

*ბრუნვის რიცხვი* - გულისხმობს წელიწადში რამდენჯერ შემობრუნდა დაბანდებული ღირებულება და გამოითვლება:

**ბრუნვის რიცხვი ჯერებში=შემოსავალი რეალიზაციიდან/ მიმ.აქტივების საშუალო წლიური ნაშთი**

*ბრუნვის პერიოდი დღეებში* - არის ბრუნვის რიცხვის შებრუნებული და გვიჩვენებს დღეების რაოდენობას , რომელიც საჭიროა დაბანდებული ღირებულების ერთ შემობრუნებას.

**ბრუნვის პერიოდი დღეებში=მიმ.აქტივების საშუალო წლიური ნაშთიX365/ შემოსავალი რეალიზაციიდან**

*დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტი* - გვიჩვენებს მუდმივად დაბანდებული ღირებულების მოცულობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთი ლარის შემოსავალის მიღება.

**ბრუნვის პერიოდი დღეებში=მიმ.აქტივების საშუალო წლიური ნაშთი/შემოსავალი რეალიზაციიდან**

ასევე შეგვიძლია გამოვთვალოთ მარაგის ბრუნვაობის კოეფიციენტები და დებიტორული დავალიანების ბრუნვაობა. აღნიშნული კოეფიციენტები გამოითვლება ამონაგების ფარდობით შესაბამისი მაჩვენებლის საშუალო სიდიდეზე.

## თავი 2. საანალიზო საწარმოების შედარებითი ანალიზი

### 2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგრადობა გულისხმობს, რომ საწარმოს აქვს უნარი დადგენილ ვადებში დაფაროს ვალდებულებები, გამორიცხოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების არარეკომენდირებული მოცულობა, უზრუნველყოს მმართველი რგოლის მიერ შემუშავებული გეგმების შესრულება. ფინანსური მდგრადობა ნიშნავს რომ საწარმო ფლობს რესურსების საჭირო რაოდენობას, იყენებს და ანაწილებს მას, ისე რომ იზრდება მოგება და კაპიტალი, ამასთანავე ინარჩუნებს გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის სასურველ დონეს. როგორც აღვნიშნეთ საწარმოს ფინანსური მდგრადობა გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებზე. შესაბამისად ინვესტორებისთვის საწარმოს მდგრადობის ანალიზი ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

საწარმოს მდგრადობის ანალიზის მთავარი მიზნია განისაზღვროს თუ რამდენად არის საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელი და შეფასდეს მისი სტაბილური მდგომარეობის ხარისხი.

საწარმოს მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოყოფენ შიდა და გარე ფაქტორებს. ანალიზის პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობა შიდა ფაქტორებს. ესენია: საწესდებო კაპიტალის სიდიდე, ფინანსური რესურსების სტრუქტურა, მოცულობა და თანაფარდობა, დანახარჯების მოცულობა და დინამიკა, აქტივების ბრუნვადობა და სხვა. გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: საერთაშორისო და ეროვნული ეკონომიკური სტაბილურობა, კურსის ცვლილება, სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა, საფინანსო და სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, გლობალიზაციის ხარისხი.

ფინანსური მდგრადობის ანალიზისას გამოყოფენ რამდენიმე ეტაპს:

- ✓ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლა;
- ✓ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების დაჯგუფება;
- ✓ ფაქტორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენის გამოთვლა;

✓ ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება.

ეკონომიკური ანალიზის, როგორც მეცნიერების წარმომადგენლები გამოყოფენ ფინანსური მდგრადობის 4 ტიპს. ესენია:

1. **აბსოლუტური მდგრადობა**- საწარმო არის აბსოლუტურად მდგრადი თუ მარაგები მთლიანად დაფინანსებულია საკუთარი საბრუნავი სახსრებით. მეცნიერების განმარტებით, აბსოლუტური მდგრადობა არ იძლევა საწარმოს მიერ სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, რადგანაც არ არის მოძიებული დაფინანსების გარე წყაროები. ოპტიმალურ ვარიანტად განიხილავენ მატერიალურ მარაგებში საკუთარი სახსრების 50%-იან წილს. ასევე აღნიშნავენ რომ მსგავსი მდგომარეობა იშვიათია.

**მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები**

**საკუთარი საბრუნავი სახსრები/მატერიალური მარაგები>1**

მატერიალური მარაგები=მარაგები+წინასწარ გაწეული ხარჯები.

საკუთარი საბრუნავი სახსრები = (მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები) - მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხი.

2. **ნორმალური მდგრადობა** - მარაგები უზრუნველყოფილია საკუთარი და მოძიებული სახსრების ოპტიმალური თანაფარდობით.

**საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების**

**„ნორმალური წყაროები“**

მარაგების ფორმირების „ნორმალური“ წყაროები=საკუთარი საბრუნავი სახსრები + მოკლევადიანი სესხები+მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები+ მიღებული მოკლევადიანი ავანსები

3. **არამდგრადი (წინაკრიზისული) ფინანსური მდგომარეობა** - საწარმოს მარაგები დაფინანსებულია ყველა წყაროს მათ შორის გრძელვადიანი სესხების საშუალებით.

**მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები.**

**4.კრიზისული მდგრადობა** - მარაგების დაფინანსება არ ხდება ოპტიმალური რესურსებით და გვაქვს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები. საწარმო დამოკიდებულია მხოლოდ მოზიდულ სახსრებზე, რამაც შეიძლება გაკოტრება გამოიწვიოს. მიუხედავად მძიმე სურათისა, არსებობს კრიზისიდან გამოსვლის გზები.

**საკუთარი საბრუნავი სახსრები >მატერიალური მარაგები + დროებით თავისუფალი საშუალებათა წყაროს მოზიდვა**

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება მიიღწევა:

- მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით, რომლის შედეგად მიიღწევა მისი შეფარდებითი შემცირება ერთი ლარის საქონელბრუნვაზე;
- მარაგებისა და დანახარჯების დასაბუთებული შემცირება;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებით შიდა და გარე წყაროების ხარჯზე.

გამოვთვალეთ შერჩეული საწარმოების მაჩვენებლები და გავაანალიზოთ თუ მდგრადობის რომელი ტიპი ახასიათებთ.

**შპს „მოდუსის“ ფინანსური მდგრადობის (ცხრილი 2.1.1)**

ათასი ლარი

	მოდუსი	2016 წლის 31 დეკ.	2017 წლის 31დეკ.	2018 წლის 31 დეკ.
1	მატერიალური მარაგები	30 992	46 662	52 505
2	საკუთარი საბრუნავი სახსრები	27 780	48 147	58 420
3	მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები	40 279	58 656	67 164
აბს=1<2	<b>აბსოლუტური</b>			
ნორმ=2<1<3	<b>ნორმალური</b>			
არამდ=1>3	<b>არამდგრადი</b>			
კრიზ=	<b>კრიზისული</b>			

აკმაყოფილებს

ვერ აკმაყოფილებს

<sup>2</sup> ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011

ცხრილში მოცემული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2017-2018 წლებში საწარმო ხასიათდება აბსოლუტური მდგრადობით. კომპანია არ დგას რისკის წინაშე, თუმცა აქვს სიმძლავრეების გამოყენების მეტი შესაძლებლობა, რაც გაზრდის საწარმოს მომგებიანობას. მთლიანობაში საწარმო მდგრადობის კუთხით ინვესტორების მოზიდვას შეძლებს.

**შპს „ბი ემ სი გორგიას“ ფინანსური მდგრადობის (ცხრილი 2.1.2)**

ათასი ლარი

	გორგია	2016 წლის 31 დეკ.	2017 წლის 31 დეკ.	2018 წლის 31 დეკ.
1	მატერიალური მარაგები	36 774	46 714	49 385
2	საკუთარი საბრუნავი სახსრები	11 505		1 987
3	მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“	68 235		77 021
აბს=1<2	<b>აბსოლუტური</b>			
ნორმ=2<1<3	<b>ნორმალური</b>			
არამდ=1>3	<b>არამდგრადი</b>			
კრიზ=	<b>კრიზისული</b>			

აკმაყოფილებს

ვერ აკმაყოფილებს

შპს „ბი ემ სი გორგია“ 2018 წელს ხასიათდება ნორმალური ფინანსური მდგრადობით. დინამიკური მაჩვენებლების მიხედვით საწარმოს მდგომარეობა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაუმჯობესდა. არამდგრადი (წინაკრიზისული) ეტაპიდან ნორმალური მდგრადობის ეტაპზე გადავიდა, რაც მიუთითებს რომ მმართველობამ 2018 წლის განმავლობაში მიიღო სწორი გადაწყვეტილებები.

2018 წლის მდგომარეობით შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგიას“ ფინანსური მდგრადობის შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ მთლიანობაში ორივე საწარმოს ფინანსური მდგრადობა არის მისაღები და ინვესტორებისათვის მიმზიდველი. გორგიას მენეჯმენტი არ უშინდება რისკებს და აღინიშნება მდგრადობის გაუმჯობესება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება. შპს „მოდუსი“-ს აქვს მომგებიანობის გაზრდის რეზერვები და საჭიროა ამ რეზერვების გამოყენება.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის მაჩვენებლებია ბალანსის საფუძველზე გამოთვლილი აბსოლუტური და შეფარდებითი კოეფიციენტები. შეფარდებითი კოეფიციენტები მიიღება აქტივებისა და პასივების შესაბამისი მუხლების თანაფარდობით. ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი არის ფინანსური მდგრადობის ინდიკატორი, რომელიც მიიღება საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ფარდობით. ძირითად შემთხვევებში დაბალი მაჩვენებელი გვიჩვენებს რისკის მაღალ დონეს. საწარმოს მდგრადობის დეტალური ანალიზისათვის მიზანშეწონილია შემდეგი კოეფიციენტების გამოთვლა:

- ✓ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის (დამოუკიდებლობის);
- ✓ მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის (დამოკიდებულების) ;
- ✓ ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა (ფინანსური ლევერიჯის);
- ✓ კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების);
- ✓ საკუთარი კაპიტალის მანევრირების (მობილობის);
- ✓ საკუთარი საშუალებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან;
- ✓ მარაგის დაფარვის ;
- ✓ გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის ;

გამოვთვალოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები საანალიზო საწარმოების მაგალითზე დინამიკაში და შევადაროთ.

**საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** - იგივე დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში და გვიჩვენებს აქტივების ანუ ქონების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით. კოეფიციენტის ნორმატიულ, მისაღებ მნიშვნელობად მიიჩნევა 0,5 და მეტი. იგი უნდა იყოს 0,5 სა და 1-ს შორის. რაც უფრო უახლოვდება მნიშვნელობა 1-ს ეს მიუთითებს რომ საწარმო ფინანსურად მეტად მდგრადია. თუ კოეფიციენტი 0,5-ს ქვევითაა ესეიგი საწარმო დამოკიდებულია კრედიტორებზე. კოეფიციენტის მნიშვნელობის ოპტიმალურობა დამოკიდებულია ასევე დარგზე. თუ საწარმოსთვის საბრუნავი საშუალებების წილი დიდია , მაშინ შესაძლებელია აქტივები დაფინანსებული იყოს ვალდებულებების ხარჯზე და ამან არ გამოიწვიოს ფინანსური არამდგრადობა.

**საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი= საკუთარი კაპიტალი / მთლიანი აქტივები**

**(ცხრილი 2.1.3)**

მაჩვენებლები		საწარმოები			სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
		ოპტიმალური მაჩვენებელი	შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
საკ.კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	2016	0,5-1	0,69	0,25	0,44
	2017		0,63	0,18	0,45
	2018		0,65	0,26	0,39

შპს „მოდუსი“-ის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები ბოლო სამი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა და გვიჩვენებს საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ნორმალურ დონეს. 2018 წელს კომპანიის აქტივების 65 % დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით, შესაბამისად არ არსებობს გაკოტრების რისკები. შპს „გორგია“-ს შემთხვევაში კოეფიციენტები ოპტიმალურ მნიშვნელობაზე ნაკლებია და 2018 წლის მონაცემებით აქტივების მხოლოდ 26 %-ია საკუთარი კაპიტალით დაფინანსებული. საწარმო დამოკიდებულია კრედიტორებზე, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს დარგის გავლენაც. კომპანია ეწევა საქონლის იმპორტს და შემდგომ რეალიზაციას. აქტივების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები.

**მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი-** იგივე დამოკიდებულების კოეფიციენტი არის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული და გვიჩვენებს აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული ვალდებულებების ხარჯზე. მიზანშეწონილია კოეფიციენტის მნიშვნელობა იყოს 0,5 და ნაკლები, ანუ აქტივების ნახევარი ან უფრო ნაკლები იყოს მოძიებული გარე წყაროებიდან. მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, შესაბამისად მცირდება საწარმოს სტაბილურობის ხარისხი. თუ 1-ს გაუტოლდა ნიშნავს რომ საწარმოს აქტივები მთლიანად ნასესხები საშუალებებით არის დაფინანსებული.

**ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი =  
ვალდებულებები/მთლიანი აქტივები**

**(ცხრილი 2.1.4)**

მაჩვენებლები		საწარმოები			სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
		ოპტიმალური მაჩვენებელი	შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
მოზიდული სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი	2016	0-0,5	0,31	0,75	-0,44
	2017		0,37	0,82	-0,45
	2018		0,35	0,74	-0,39

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შპს „მოდუსი“ დაახლოებით 40%-ით ნაკლებად არის დამოკიდებული კრედიტორებზე, ვიდრე შპს „ბი ემ სი გორგია“. ეს აისახება სტაბილურობის დონეზე. როგორც უკვე ვიხილეთ 2018 წელს შპს „მოდუსი“ -ს ახასიათებს აბსოლუტური, ხოლო შპს „ბი ემ სი გორგია“-ს ნორმალური ფინანსური მდგრადობა.

**ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა-** აღნიშნული მაჩვენებელი საჭიროა საწარმოს ზოგადი სტაბილურობის დასახასიათებლად. სასურველია ამ მაჩვენებლის სტრუქტურული ანალიზი დინამიკაში. კოეფიციენტის ცვლილების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ცვლილებების გამომწვევი მიზეზების დადგენა. მიზანშეწონილია საწარმოს აქტივების ნახევარი დაფინანსებული იყოს საკუთარი სახსრებით, შესაბამისად კოეფიციენტის მნიშვნელობა უდრიდეს 1-ს.

**ნასესხები და საკუთარი სახსრების ფარდობა= ვალდებულებები/საკ. კაპიტალი**

**(ცხრილი 2.1.5)**

მაჩვენებლები		საწარმოები			სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
		ოპტიმალური მაჩვენებელი	შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
ნასესხები კაპ./საკ კაპ	2016	1	0,44	2,94	-2,50
	2017		0,59	4,59	-4,00
	2018		0,54	2,88	-2,34



ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ვერცერთი კომპანია ვერ აღწევს ნომინალურ ნიშნულს, თუმცა შპს „ მოდუსი“-ს მაჩვენებლები უფრო ახლოსაა სასურველ მაჩვენებელთან. შპს „ბი ემ სი გორგია“-ს შემთხვევაში ნასესხები საშუალებების მოცულობა 2016 წელს 3 ჯერ, 2017 წელს 4,5 ჯერ, ხოლო 2018 წელს 2,8 ჯერ აღემატება საკუთარი კაპიტალის მოცულობას. 2017 წელი იყო კომპანიისთვის შედარებით არასტაბილური. 2018 წელს შეინიშნება მდგრადობის ზრდა.

**კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი** - გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებას საანგარიშო წლის განმავლობაში. სასურველია კოეფიციენტი მეტი იყოს 1-ზე.

**კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი=საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის ბოლოს/საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის დასაწყისში.**

(ცხრილი 2.1.6)

მაჩვენებლები		მისაღები მაჩვენებელი	საწარმოები		სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
			შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი	2016	1+	1,12		1,12
	2017		1,24	0,85	0,39
	2018		1,17	1,65	-0,47

შპს „მოდუსი“ ხასიათდება საკუთარი კაპიტალის ზრდის ტენდენციით. უსაფრთხოების კოეფიციენტი ორივე კომპანიის შემთხვევაში 2018 წელს აღწევს მისაღებ ნიშნულს. აღსანიშნავია რომ 2018 წელს შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს უსაფრთხოების კოეფიციენტი 47% -ით აღემატება შპს „ მოდუსი“-ს უსაფრთხოების კოეფიციენტს. ეს სხვაობა დაკავშირებულია საწესდებო კაპიტალის ზრდასთან და გაუნაწილებელ მოგებასთან. 2017 წელს შპს „ბი ემ სი გორგია“ -მ გასცა დივიდენდები, რამაც შეამცირა გაუნაწილებელი მოგების მოცულობა. მართალია საანგარიშგებო (2018 წ.) პერიოდის მოგება 3 მლნ-ით აღემატება მოდუსის მოგებას, თუმცა 47%-იანი სხვაობის მიზეზი, ამასთანავე არის გაუნაწილებელი მოგებების მოცულობის სხვაობა. კოეფიციენტის

მიხედვით შპს,, ბი ემ სი გორგია“ უფრო უსაფრთხოა, ვიდრე შპს,, მოდუსი“, თუმცა რეალური სურათი სხვაგვარია. შესაბამისად, მხოლოდ ერთ კოეფიციენტზე დაყრდნობით ვერ მივიღებთ რეალურ შედეგს, საჭიროა სხვა კოეფიციენტების გამოთვლაც.

**საკუთარი კაპიტალის მანევრირების (მობილობის) კოეფიციენტი** - გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში. თუ აღნიშნული კოეფიციენტი 0,3 ზე დაბალი არ არის, მაშინ საწარმოს მდგრადობის საკითხი საფრთხის ქვეშ არ დგას.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები} / \text{საკუთარი კაპიტალი}$$

(ცხრილი 2.1.7)

მაჩვენებლები		ოპტიმალური მაჩვენებელი	საწარმოები		სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
			შპს,, მოდუსი"	შპს „ბი ემ სი გორგია"	
საკ.კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	2016	0,3+	0,61	0,58	0,03
	2017		0,85		0,85
	2018		0,88	0,07	0,81

წინა კოეფიციენტებმაც გვიჩვენა, რომ შპს,, მოდუსს“ არ აქვს პრობლემები საკუთარი კაპიტალის მოცულობასა და გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. მანევრირების კოეფიციენტის დონეც სამივე წელს მისაღებია, შეინიშნება ზრდის ტენდენციაც. იგივეს ვერ ვიტყვით შპს,, ბი ემ სი გორგია“-ზე. 2018 წლის მანევრირების კოეფიციენტი მხოლოდ 7 %-ს შეადგენს, რაც ქმნის საფრთხის საშიშროებას. მანევრირების კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა ნიშნავს დაბალ ფინანსურ მდგრადობას. საკუთარი სახსრები დაბანდებულია ძირითად საშუალებებში და რთულად რეალიზებად აქტივებში, ხოლო საბრუნავი კაპიტალი კი ჩამოყალიბდა მოზიდული სახსრების ხარჯზე. მართალია 2018 წლის მონაცემები არ არის დადებითი, თუმცა მაინც შეინიშნება ზრდა 2017 წელთან შედარებით. 2017 წელს კომპანიას საერთოდ

არ გააჩნდა საკუთარი საბრუნავი საშუალებები. მაგრამ რამ გამოიწვია ზრდა?! ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით საბრუნავი საშუალებების ზრდაზე 2018 წელს გარკვეული გავლენა იქონია წილის და ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მისაღებმა მიმდინარე აქტივებმა.

საკუთარი საშუალებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან - გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების წილს, რომელიც დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით ან გრძელვადიანი ვალდებულებებით. მისი ნორმატიული მნიშვნელობაა 0,4-სა და 0,5-ს შორის.

**საკუთარი საშუალებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან=საკუთარი საბრუნავი სახსრები/მიმდინარე აქტივები**

(ცხრილი 2.1.8)

მაჩვენებლები		საწარმოები		სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის	
		ოპტიმალური მაჩვენებელი	შპს „მოდუსი“		შპს „ბი ემ სი გორგია“
საკ.საშუალებები/მიმდინარე აქტივები	2016	0,4-0,5	0,70	0,17	0,53
	2017		0,81		0,81
	2018		0,86	0,03	0,83

მონაცემები გვიჩვენებს, რომ შპს „მოდუსი“-ს საბრუნავი საშუალებები ძირითადად დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით, შპს „ბი ემ სი გორგიას“ შემთხვევაში პირიქით, ნასესხები საშუალებებით.

**მარაგის დაფარვის კოეფიციენტი** - გვიჩვენებს მარაგების რა ნაწილია დაფინანსებული საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მიღებული ავანსების ჯამით.

**მარაგის დაფარვის კოეფიციენტი=დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები/(მატერიალური მარაგები+წინასწარ გაწეული ხარჯები)**

(ცხრილი 2.1.9)

მაჩვენებლები		საწარმოები		სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
		შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
მარაგის დაფარვის კოეფიციენტი	2016	1,30	1,86	-0,56
	2017	1,26		1,26
	2018	1,28	1,56	-0,28

ორივე კომპანიის შემთხვევაში მატერიალური მარაგების დაფინანსება განხორციელდა „ნორმალური“ წყაროებიდან

გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი - გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილი არის დაფინანსებული გრძელვადიანი ვალდებულებებით.

**გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივები**

(ცხრილი 2.1.10)

მაჩვენებლები		საწარმოები		სხვაობა შპს „მოდუსი“-სა და შპს „გორგია“-ს მაჩვენებლებს შორის
		შპს „მოდუსი“	შპს „ბი ემ სი გორგია“	
გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი	2016	0,32	0,00	0,32
	2017	0,73	0,08	0,65
	2018	0,77	0,14	0,64

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების დინამიკაში გამოთვლების შედეგად შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ შპს „მოდუსი“-ს ფინანსური მდგომარეობა არის აბსოლუტურად სტაბილური. აქტივების დაახლოებით 70% დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით. არ არსებობს კომპანიის გაკოტრების რისკი. სტაბილური მდგომარეობა შენარჩუნებულია ბოლო სამი წლის განმავლობაში. აქვს განვითარების პერსპექტივები და მოგების ზრდის რესურსები. საჭიროა მმართველმა გუნდმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა გამოყენებულ იქნას აღმოჩენილი რეზერვები. შპს „ბი ემ სი გორგია“-ს ფინანსური მდგომარეობა შედარებით არასტაბილურია, თუმცა ნორმალური. კომპანია მაქსიმალურად იყენებს შესაძლებლობებს გაზარდოს რეალიზაციის

მოცულობა. ეს შეიცავს გარკვეულ რისკებს. აქტივების დიდი ნაწილი დაფინანსებულია მოზიდული სახსრებით. ფინანსური მდგრადობის ხარისხი გაზრდილია 2017 წელთან შედარებით.

## 2.2 საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შედარებითი ანალიზის შედეგები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზუსტი შეფასებისთვის არ არსებობს ერთი უნივერსალური ფორმულა, რომლის გამოთვლის შედეგებზე დაყრდნობით ინვესტორებს, კრედიტორებს თუ საწარმოს მმართველ გუნდს შეეძლებათ სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. საწარმოს ანალიზი, როგორც აღვნიშნეთ კომპლექსური და შრომატევადია. იმისთვის რომ შევაფასო ჩემ მიერ შერჩეული საწარმოების ფინანსური მდგომარეობა, ფინანსურ მდგრადობასთან ერთად საჭიროა მათი გადახდისუნარიანობის ანალიზიც. შეიძლება ითქვას, რომ გადახდისუნარიანობა არის მაჩვენებელი, რომლის შედეგებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ ინვესტორები იმ საწარმოს შეფასებისას, სადაც გეგმავენ კაპიტალის ინვესტირებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირია მცდელობა, განსახვავონ ერთმანეთისაგან ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. საერთაშორისო პრაქტიკაში გადახდისუნარიანობა გულისხმობს, რომ საწარმოს ნებისმიერ დროს გააჩნია ლიკვიდური აქტივები მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფინანსებლად. ლიკვიდური აქტივების არსებობა საწარმოში მიგვანიშნებს მის ფინანსურ მდგრადობაზე. მაშასადამე, საწარმოსთვის უპირველესი მიზანია წმინდა ლიკვიდური აქტივების ფლობა. წმინდა აქტივები წარმოადგენს ლიკვიდურ აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობას.

საწარმოს გადახდისუნარიანობა არის მოლოდინი და უნარი, რომ საწარმო საბოლოოდ დაფარავს ვალდებულებებს, ხოლო ლიკვიდურობა გულისხმობს ვალდებულების დაფარვის შესაძლებლობას ანუ ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების არსებობასა და საკმარისობას ვალდებულებების დასაფარად. შეიძლება ლიკვიდურობის კოეფიციენტის მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ნორმალურად ხასიათდებოდეს, მაგრამ თუ საბრუნავი აქტივების შემადგენლობაში

ჭარბია ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებებისა მოცულობა და რთულად რეალიზებადი აქტივების რაოდენობა , რომელთა რეალიზება დაკავშირებულია გარკვეულ დანაკარგებთან, მაშინ საწარმოს მდგომარეობის დადებითად შეფასება არ იქნება მართებული.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დონეზე გავლენას ახდენს საკუთარი საბრუნავი კაპიტალი. საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ცვლილებას ძირითადად იწვევს რეალიზაციის მოცულობის ცვლილება. საკუთარი საბრუნავი კაპიტალი მარტივად უნდა გადაიცვალოს ფულად საშუალებებად. ეს ზრდის გადახდისუნარიანობის დონეს.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საქონლის, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება იმ დროით, რომელიც საჭიროა სახსრების ტრანსფორმაციისთვის. ბალანსის ლიკვიდურობა ნიშნავს კაპიტალის არსებობას და ხელმისაწვდომობას , რომელიც საჭიროა მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფინანსებლად. საწარმოს ლიკვიდურობა უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ბალანსის. საწარმოს ლიკვიდურობა არა მარტო საკუთარი სახსრებით ვალდებულებების დაფარვას გულისხმობს, არამედ მის იმიჯს და შესაძლებლობას მოიზიდოს სახსრები გარე წყაროებიდან.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის პირველ ეტაპზე საჭიროა დავაჯგუფოთ აქტივები და ვალდებულებები ლიკვიდურობის სისწრაფის მიხედვით. ამ კუთხით გამოიყოფა აქტივებისა და ვალდებულებების 4 ჯგუფი:

**A1 - მაღალლიკვიდური აქტივები** - საწარმოს ფულადი საშუალებები და ექვივალენტები, აქტივები რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს ანგარიშწორებისათვის.

**A2 - სწრაფად რეალიზებადი აქტივები** - დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს მოიცავს, ასევე მზა პროდუქცია, მოკლევადიანი ინვესტიციები;

**A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები** - მარაგები წინასწარ გაწეული ხარჯის გარდა, დაუმთავრებელი წარმოება, დღგ, გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები,

**A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები** - გრძელვადიანი აქტივები, რომელიც მოიცავს : ძირითადი საშუალებებს, არამატერიალური აქტივებს, დაუმთავრებელი მშენებლობებს.

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება ასეთი სახით:

**P1 - ვალდებულებები მოწოდებიდან** - კრედიტორული დავალიანებები და სხვა;

**P2 - მოკლევადიანი ვალდებულებები** - მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

**P3 - გრძელვადიანი ვალდებულებები** - ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი ვალდებულებები, გრძელვადიანი თამასუქები, ობლიგაციები;

**P4 - მუდმივი(მყარი) პასივები** - საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია, ანუ კაპიტალის მუხლები.

აბსოლუტურად ლიკვიდური ბალანსისათვის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი უტოლობები:

$$A1 \geq P1, A2 \geq P2, A3 \geq P3, A4 \leq P4$$

პირველი სამი უტოლობიდან თუ არ შესრულდა რომელიმე იქმნება ლიკვიდურობის პრობლემა. განვიხილოთ საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები.

### ცხრილი 2.2.1 დაჯგუფებული აქტივების და ვალდებულებების ფარდობა

	შპს „მოდუსი“			შპს „ბი ემ სი გორგია“		
	2016	2017	2018	2016	2017	2018
<b>A1 ≥ P1</b>	სრულდება	სრულდება	სრულდება	არ სრულდება	არ სრულდება	არ სრულდება
<b>A2 ≥ P2</b>	სრულდება	სრულდება	სრულდება	სრულდება	არ სრულდება	არ სრულდება
<b>A3 ≥ P3</b>	სრულდება	სრულდება	სრულდება	სრულდება	სრულდება	სრულდება
<b>A4 ≤ P4</b>	სრულდება	სრულდება	სრულდება	არ სრულდება	არ სრულდება	არ სრულდება

შპს „მოდუსი“-ს შემთხვევაში სრულდება ოთხივე პირობა ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც მიგვითითებს რომ კომპანია გადახდისუნარიანია. მას გააჩნია

საკმარისი სწრაფად ლიკვიდური სახსრები მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფინანსებლად. სახსრები ეფექტიანად არის გადანაწილებული, შესაბამისად შენარჩუნებულია სტაბილურობა.

შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს შემთხვევაში ოთხივე პირობა ერთდროულად არ შესრულებულა ბოლო სამი წლის განმავლობაში. ეს მიუთითებს, რომ საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად საკუთარი ფულადი სახსრები არ აქვს.

ლიკვიდურობის დონის დასადგენად გავიანგარიშეთ ლიკვიდურობის შემდეგი ფარდობითი კოეფიციენტები:

**აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი** - გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოში არსებული ფულადი საშუალებებით , მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება რომ დაიფაროს. მისი მაჩვენებელი უმჯობესია არ იყოს 0,2-ზე ნაკლები.

$$K = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{ფულის ექვივალენტები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

**სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი** - იგივე კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი, ახასიათებს კომპანიაში არსებული და მიმდინარე პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებებით, მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის დონეს. ეკონომისტები მიიჩნევენ , რომ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი უმჯობესია არ იყოს 1-ზე ნაკლები.

$$K = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

**საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი** - გვიჩვენებს მიმდინარე და მოკლევადიან პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებებით, შესაძლებელია თუ არა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. მისი ვარიანტების ნორმალური დიაპაზონი განისაზღვრება 2 დან 3 -მდე დიაპაზონში.

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$



საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი - გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების ჯამის ფარდობით მოზიდულ კაპიტალთან, სასურველია კოეფიციენტი 2-ზე მეტი იყოს. ეს კოეფიციენტი არის ნასესხები საშუალებების კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი და გვიჩვენებს რამდენჯერ შეუძლია დაფაროს მიმდინარე აქტივებმა მიმდინარე ვალდებულებები.

ინვესტირების კოეფიციენტი - არის გადახდისუნარიანობის კიდევ ერთი მაჩვენებელი და გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით.

**K= საკუთარი კაპიტალი-საკუთარი საბრუნავი საშუალებები  
გრძელვადიანი აქტივები**

**ცხრილი 2.2.2**

მაჩვენებლები	ნორმა	შპს „მოდუსი“			შპს, „ბი ემ სი გორგია“		
		2016	2017	2018	2016	2017	2018
აბსოლუტური ლიკვიდურობა	>0,2	0,15	0,26	0,12	0,07	0,01	0,05
სწრაფი ლიკვიდურობა	1 და >1	0,67	1,02	1,46	0,56	0,24	0,31
საერთო ლიკვიდურობა	2 - 3	3,33	5,36	7,15	1,20	0,89	1,03
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	>2	3,25	2,69	2,85	1,34	1,22	1,35
ინვესტირების კოეფიციენტი	>0,5	0,68	0,27	0,23	1,00	0,92	0,86

ნაშრომის პირველ ნაწილში მიღებული მონაცემები ასახავს, რომ შპს, „მოდუსი“-ს აქვს სტაბილური და დადებითი ფინანსური მდგომარეობა, თუმცა აბსოლუტური ლიკვიდურობის მიხედვით საწარმო არ იმყოფება იდეალურ მდგომარეობაში. ანუ მას აქვს გარკვეული პრობლემები ფულადი სახსრების მობილიზებასთან. აბსოლუტური ლიკვიდურობის ნორმა მხოლოდ 2017 წელს მიიღწევა. სწრაფი ლიკვიდურობა არის ნორმის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს შეუძლია მოთხოვნები მოკლე პერიოდში გადააქციოს ფულად საშუალებებად და დაფაროს ვალდებულებები. რაც შეეხება საერთო ლიკვიდურობას, კომპანიის საერთო ლიკვიდურობის დონე მეტია ნორმად


აღიარებულისა, რაც გულისხმობს რომ საწარმოს მიმდინარე აქტივები დაფინანსებულია გრძელვადიანი ვალდებულებებით.

გადახდისუნარიანობას კოეფიციენტზე დაყრდნობით კომპანიას აქვს გარანტირებული რესურსი და შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები. ბოლო სამი წლის განმავლობაში საწარმო არის გადახდისუნარიანი.

ინვესტირების კოეფიციენტი 2018 წელს არის შემცირებული და ვერ ჯდება ნორმის ფარგლებში. გრძელვადიანი აქტივები დაფინანსებულია მოზიდული სახსრების ხარჯზე.


### ლიკვიდურობის მაჩვენებლების დინამიკა გრაფიკულად

გრაფიკი 2.2.1 შპს „ მოდუსი“



გრაფიკი კარგად ასახავს საწარმოს კოეფიციენტების ცვლილებას. ლიკვიდურობის კოეფიციენტებს 2016-2018 წლებში ახასიათებთ მზარდი დინამიკა, ხოლო გადახდისუნარიანობის და ინვესტირების კოეფიციენტები შემცირებულია.

გრაფიკი 2.2.2 შპს „ ბი ემ სი გორგია“



განსახვავებული სურათი გვაქვს შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს შემთხვევაში. საწარმო ვერ აკმაყოფილებს მოცემული კოეფიციენტების მიღებულ ვერცერთ ნორმას. ეს უარყოფით შთაბეჭდილებას დატოვებს ინვესტორებზე. საწარმოს აქვს პრობლემები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით . მიუხედავად იმისა, რომ საწარმო ლიკვიდურობის კუთხით იმყოფება რთულ მდგომარეობაში, მაინც შეიმჩნევა 2018 წელს ლიკვიდურობის გაუმჯობესება 2017 წელთან შედარებით. მმართველმა გუნდმა უნდა შეინარჩუნოს ზრდის ტენდენცია და მომავალ წლებში მიაღწიოს ლიკვიდურობის მისაღებ ნორმას.

ლიკვიდურობის განსაზღვრაში მთავარი როლი ფულად საშუალებებს უკავია. ფულადი სახსრები სასიცოცხლოდ აუცილებელია საწარმოსთვის, რადგან მისი საშუალებით ხდება ვალდებულებების დაფარვა და აქტივების შექმნა. საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია ფინანსური რესურსების არსებობასა და ოპტიმალურ გამოყენებაზე. ფინანსურმა მენეჯერმა საჭიროა, განახორციელოს ფულადი ნაკადების სხვადასხვა მაჩვენებლების პროგნოზირება და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები. ფულადი სახსრების მოძრაობა , მისი შემოსვლა და გასვლა კომპანიიდან ასახულია საწარმოს მიერ წარმოდგენილ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში. ანგარიშგებაში ფულადი საშუალებები ასახულია სამ ჯგუფად. საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებად.

საოპერაციო საქმიანობა- არის საწარმოს ძირითადი საქმიანობა და ის სხვა საქმიანობა , რომლებსაც არ მივაკუთვნებთ საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობას. საოპერაციო

საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციებია: მომსახურების გაწევისათვის მიღებული ან გასული სახსრები, სადაზღვევო თანხების მიღება ან გასვლა, კონტრაქტებთან დაკავშირებული სახსრების მოძრაობა, პროცენტებისა და დივიდენდების შემოსვლა და გასვლა და სხვა.

*საინვესტიციო საქმიანობა* - გრძელვადიანი აქტივებისა და ინვესტიციების შეძენა და გასხვისება. მსგავს ოპერაციებს მიეკუთვნება: ძირითადი საშუალების, გრძელვადიანი და არამატერიალური აქტივების შეძენა-გასვლასთან, საკუთარ კაპიტალში წილის ცვლილებასთან, გაცემული ავანსების და სესხების დაფარვასთან დაკავშირებული თანხების მოძრაობა

*საფინანსო საქმიანობა*- საქმიანობა, რომელიც სტრუქტურულად ცვლის საწარმოს საკუთარ და ნასესხებ საშუალებებს. გრძელვადიანი სესხების, ფასიანი ქაღალდების, ობლიგაციების მოძრაობის შედეგად თანხების გასვლა ან შემოსვლა.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი შეგვიძლია ჩავატაროთ პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. პირდაპირი მეთოდის დროს ვპოულობთ უშუალოდ ფულადი ნაკადების შემოსვლასა და გასვლის თანაფარდობას. ვეყრდნობით ამონაგებს. არაპირდაპირი მეთოდის დროს წმინდა მოგება კორექტირდება იმ ოპერაციებით, რომლებიც გავლენას ახდენს წმინდა მოგებაზე, მაგრამ არ არის დაკავშირებული ფულადი საშუალებების გასვლასთან ან შემოდინებასთან.

ფულადი საშუალებების საკმარისობა შეგვიძლია შევაფასოთ ბრუნვათა რიცხვისა და დღეებში ბრუნვის ხანგრძლივობის განსაზღვრით.

**ბრუნვათა რიცხვი= ამონაგები რეალიზაციიდან/ ფულადი საშუალებების საშუალო  
ნაშთი**

შპს „ მოდუსი“(2017წ)=38

შპს „ მოდუსი“(2018წ)=51

შპს „ ბი ემ სი გორგია“ (2017 წ) =53

შპს „ ბი ემ სი გორგია“ (2018 წ) =36

**ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში= ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთი x365  
/ამონაგები რეალიზაციიდან**

შპს „ მოდუსი“(2017წ)=10

შპს „ მოდუსი“(2018წ)=7

შპს „ ბი ემ სი გორგია“ (2017 წ) =7

შპს „ ბი ემ სი გორგია“ (2018 წ) =10

ფინანსურ სიძნელეებზე მიგვითითებს ფულადი საშუალებების ხვედრითი წონის შემცირება, რაც აღინიშნება ორივე საწარმოს შემთხვევაში. საჭიროა ყოველთვიური ანალიზის ჩატარება, რათა საწარმომ შეძლოს რეალური სურათის დანახვა, ფულადი საშუალებების სიჭარბეზე ან დეფიციტზე

**საანალიზო საწარმოების ფულადი ნაკადების დინამიკა (ცხრილი 2.2.3)**

ათასი ლარი

	შპს„მოდუსი“			შპს„ ბი ემ სი გორგია“		
	2017	2018	სხვა ობა	2017	2018	სხვა ობა
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>						
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	122 046	111 705	- 10 341			
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაც. ფულადი სახსრები	102 824	99 187	- 3 637			
გადახდილი გადასახადები	13 118	15 131	2 013			
<b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>	6 104	- 2 614	<b>- 8 718</b>	- 1 481	6 687	<b>8 168</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობები</b>						
ძირითადი საშუალებების შეძენა	5 757	25	- 5 732			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	98		- 98			
<b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	- 5 659	-25	<b>5 634</b>	-3 000	- 5 800	<b>-2 800</b>
<b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>	598	928	<b>330</b>	1 596	1 600	<b>4</b>
<b>წმინდა ფულის ზრდა/შემცირება</b>	1 045	-170	<b>- 1 215</b>	-2 950	2 510	<b>5 460</b>
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	1 775	2 820		3 952	1 003	
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	2 820	1 110	<b>- 1 710</b>	1 003	3 514	<b>2 511</b>

ცხრილი 2.2.3-ის მიხედვით შპს., მოდუს“-ში 2018 წელს 2017 წელთან შედარებით იკლო ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინებამ 1 215 ათასი ლარით, შესაბამისად შემცირდა წლის ბოლოს საწარმოს ფულადი სახსრების მოცულობის ნაშთიც. სწორედ, ამან გამოიწვია აბსოლუტური ლიკვიდურობის დონის შემცირება. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს დებიტორული დავალიანებების ზრდით. კომპანიამ უნდა დასახოს მიზნები რათა გაზარდოს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სახსრების ორგანიზაციაში შემოდინება.

განსხვავებით პირველი საწარმოსი შპს „ ბი ემ სი გორგია“-ში გაიზარდა წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება , რაც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან. წლის ბოლოს ფულადი საშუალებების ნაშთი გაიზარდა 2 511 ათასი ლარით და შეადგინა 3 514 ათასი ლარი. ეს აისახა აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტზე და მცირედით გაიზარდა, თუმცა ვერ მიაღწია ნორმირებულ დონეს. საჭიროა კომპანიამ შეინარჩუნოს გამოვლენილი ტენდენცია. შეამციროს სავაჭრო და დებიტორული დავალიანებების მოცულობა. ლიკვიდურობის ნორმალური დონის მიღწევა დაეხმარება ინვესტიციების ზრდაში.

## 2.3 საქმიანი აქტივობისა და ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელთა შეფასების შედეგები

დღეისათვის საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში უამრავი კომპანია არის წარმოდგენილი, რომლებიც ყოველდღე იბრძვიან ბაზარზე ადგილის შესანარჩუნებლად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ზოგი მათგანი გიგანტი საწარმო გახდება, ზოგიერთი კი შეწყვეტს ფუნქციონირებას. როგორი დასასრული ხვდება კომპანიას დამოკიდებულია მის საქმიანობაზე. საწარმოში საწყის ეტაპზე ხორციელდება რესურსების ავანსირება. იმისათვის რომ კომპანია განვითარდეს და შეძლოს ღირსეული კონკურენციის გაწევა, საჭიროა ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენება. რესურსების ეფექტიანი გამოყენება საქმიანი აქტივობის მაჩვენებლებით გამოიხატება. საქმიანი აქტივობის შეფასებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენად სწრაფად გადაიქცევა საწყის ეტაპზე დაბანდებული ინვესტიცია რეალურ ფულად სახსრებად. საქმიანი

აქტივობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: შემოსავალი რეალიზაციიდან, მოგება და სხვა. შეფარდებითი მაჩვენებლები გაიზომება ბრუნვადობით. ბრუნვადობა ფასდება ბრუნვის სიჩქარით, ბრუნვის პერიოდით და დატვირთვის ინდიკატორებით. ბრუნვადობის ნორმირებული მაჩვენებლები არ არსებობს. სხვადასხვა დარგში ბრუნვადობის სხვადასხვა მნიშვნელობებია ოპტიმალური. სანამ უშუალოდ ბრუნვადობის მაჩვენებლების გამომანგარიშებაზე გადავიდოდეთ, შევაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს საანალიზო საწარმოები ეკონომიკური პოტენციალის პირობებს. აღიარებულია რომ , თუ საწარმოს აქვს მაღალი ეკონომიკური პოტენციალი , უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი უტოლობები.

- დაბეგვრამდე მოგების ზრდის ტემპი მეტია ამონაგების ზრდის ტემპზე;
- ამონაგების ზრდის ტემპი მეტია აქტივების ზრდის ტემპზე;
- მოგების, ამონაგების და აქტივების ზრდის ტემპები მეტია 100% ზე. ანუ ახასიათებთ მატება.

დაგვჭირდება როგორც ბალანსის, ასევე მოგება-ზარალის ანგარიშგებების მონაცემები.

**ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებლები (ცხრილი 2.3.1)**

ათასი ლარი						
მაჩვენებელი	შპს „მოდუსი“		ზრდის ტემპი %	შპს „გორგია“		ზრდის ტემპი %
	2017	2018		2017	2018	
მოგება დაბეგვრამდე	11083	9707	88	8479	12463	147
ამონაგები	86088	100430	117	131822	164473	125
აქტივები წლის ბოლოს	89683	101706	113	93966	107447	114

ნაშრომის პირველ ნაწილში მიღებული შედეგები გვიჩვენებს რომ შპს „მოდუსი“-ს ახასიათებს აბსოლუტური მდგრადობა. იგი ვერ აკმაყოფილებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. კერძოდ, დაბეგვრამდე მოგების ზრდის ტემპი შეადგენს 88%-ს. ეს გამოწვეულია საპროცენტო ხარჯის გაზრდით და საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფულადი ნაკადების შემცირებით. მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან გამომდინარე 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გაზრდილია ამონაგები, მაგრამ საოპერაციო მოგების

მოცულობა მცირედით შემცირებულიც კია. გაზრდილია ადმინისტრაციული დანახარჯები. კომპანიის მენეჯმენტი უნდა დაინტერესდეს აღნიშნულით და შეეცადონ გამოსწორდეს მდგომარეობა.

შპს,, ბი ემ სი გორგია“ - ს შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებლები, იზრდება საქმიანობის მასშტაბები. მოგება დაბეგვრამდე გაზრდილია 47%-ით, ამონაგები 25%-ით ხოლო აქტივები 14 %-ით . საწარმოს აქვს ნორმალური სტაბილურობის დონე.

საქმიანი აქტივობის შეფასების მიზნით გამოვთვალოთ ბრუნვადობის შემდეგი მაჩვენებლები:

- *აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი* (კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე) =  
**ამონაგები/აქტივების საშუალო წლიური ნაშთი(არ შედის ფული)**
- *კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი* (ბრუნვის ტემპი) =  
**ამონაგები/საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიური ნაშთი**
- *მიმდინარე აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი* (მოხილური სახსრების სიჩქარე) =  
**ამონაგები/მიმ.აქტივების საშუალო წლიური ნაშთი(არ შედის ფული)**
- *დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი* (რამდენჯერ ანაზღაურდა დებიტორული დავალიანება წელიწადში) =  
**კრედიტით გაყიდვები/დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი**
- *კრედიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი* (დავალიანების დაფარვის სიჩქარე) =  
**კრედიტით შესყიდვები/კრედიტორული დავალიანების საშუალო ნაშთი**
- *მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი* (მარაგებში დაბანდებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე) =  
**რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება/მარაგების საშუალო წლიური ნაშთი**
- *დაბანდებული კაპიტალის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა* =  
**365/ აქტივების ბრუნვის რიცხვი**



- დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა (დღეების რაოდენობა, რომელიც საჭიროა დებიტორული დავალიანების ანაზღაურებისათვის) =

### 365/ მარაგების ბრუნვის რიცხვი

#### საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები (ცხრილი 2.3.2)

	შპს „მოდუსი“		გადახრა	შპს „ბი ემ სი გორგია“		გადახრა
	2017	2018		2017	2018	
აქტივების ბრუნვის რიცხვი	0,8	0,7	- 0,1	1,1	1,1	0,0
საკუთარი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი	1,2	1,1	- 0,0	4,7	5,4	0,7
დებ.დავალიანების ბრუნვის რიცხვი	0,8	0,860	0,1	0,5	0,737	0,3
მარაგების ბრუნვის რიცხვი	1,2	1,1	- 0,2	1,8	1,7	- 0,1
კრედიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	0,5	0,682	0,2	0,8	0,7	- 0,2
აქტივების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა	453,6	498,4	44,8	332,9	321,6	- 11,3
დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა	453,4	424,6	- 28,8	802,3	495,1	- 307,2
მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	292,5	337,0	44,5	205,4	212,3	7,0
ფულის ბრუნვის რიცხვი	27,0	29,8	2,7	1,1	1,1	0,1

აქტივების ბრუნვის რიცხვის მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეიმჩნევა არცერთ კომპანიაში. დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა შემცირებულია ორივეგან, რაც დადებითი ფაქტია. თუმცა გაზრდილია მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა და შემცირებულია მარაგების ბრუნვის რიცხვი, რაც უარყოფითი მოვლენაა. მარაგის შენახვის პერიოდის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ხარჯების ზრდა და მოგების შემცირება.

საწარმოს ფუნქციონირების ინდიკატორია მოგება. საანგარიშგებო წლის ბოლოს მიღებული შედეგები მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. მოგების მიღებისათვის საჭიროა რესურსების ეფექტური მართვა. მოგების მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა დონეზე გამოითვალოს: მოგება რეალიზაციიდან, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება ,გაუნაწილებელი მოგება. მნიშვნელოვანია გამოვთვალოთ მოგების ფარდობითი მაჩვენებლები ანუ რენტაბელობა.

მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტი მოგება მიიღება აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ 1 ლარზე.

**მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა = მოგება დაბეგვრამდე\*100/აქტივების საშ.წლიური ღირებულება**

ასევე გამოვითვალოთ:

**საკუთარი კაპიტალის საერთო რენტაბელობა=მოგება დაბეგვრამდე\*100/საკ. კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება**

გვიჩვენებს მოგების მოცულობას საკუთარი კაპიტალის ყოველ 1 ლარზე

**საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა წმინდა მოგების მიმართ=წმინდა მოგება \*100/ საკ კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება**

გვიჩვენებს წმინდა მოგების მოცულობას საკუთარი კაპიტალის ყოველ 1 ლარზე

**წარმოების მომგებიანობა=საოპერაციო მოგება\*100/მატერიალური მარაგები+ძირითადი საშუალებები**

გვიჩვენებს იმ აქტივების ეფექტიანობას რომელიც საწარმოო პროცესში გამოიყენება

მაჩვენებლები		საწარმოები	
		შპს „მოდუსი“ %	შპს „ბი ემ სი გორგია“ %
მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა	2017	14.30	6.80
	2018	10.14	11.77
	<b>გადაზრა</b>	<b>-4.16</b>	4.97
საკუთარი კაპიტალის საერთო რენტაბელობა	2017	21.82	30.16
	2018	15.86	40.67

	გადახრა	-5.96	10.51
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა წმინდა მოგების მიმართ	2017	21.82	30.16
	2018	15.86	40.67
	გადახრა	-5.96	10.51
წარმოების მომგებიანობა	2017	16.43	53.91
	2018	14.01	45.60
	გადახრა	-2.42	-8.31

როგორც გამოთვლები გვიჩვენებს შპს „მოდუსი“-ის მომგებიანობის მაჩვენებლები მცირდება წლების მიხედვით. შემცირებულია მდებულებული მოგება აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ 1 ლარზე. მიუხედავ იმისა რომ კომპანია ფინანსურად მდგრადია და სტაბილური. ეს მიგვითითებს ეკონომიკური რესურსების არაეფექტიან გამოყენებაზე. რაც შეეხება შპს „ბი ემ სი გორგია“-ს შეინიშნება კაპიტალის რენტაბელობის მზარდი დინამიკა. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით 5 %-ით გაიზარდა. ხოლო საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა 10%-ით. შპს „ბი ემ სი გორგია“-ს წარმოების მომგებიანობის მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება შპს „მოდუსი“-ს მაჩვენებელს. მთლიანობაში ორივე კომპანია მომგებიანია

საწარმოს მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია ფინანსური ლევერიჯის საშუალებით. ლევერიჯი ეს არის ბერკეტი, რომელიც არსებითად ცვლის საწარმოს საფინანსო საქმიანობას. ეს არის აქტივების და კაპიტალის ისეთი ოპტიმიზაცია, რომ გაიზარდოს მოგება. იკვლევს კავშირს სესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. თუ იზრდება გრძელვადიანი ვალდებულებების გამოყენება, ეს უარყოფითად აისახება საწარმოს სტაბილურ მდგომარეობაზე.

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები/საკუთარ კაპიტალს} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{კაპიტალს} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

არსებობს ლევერიჯის სამი სახეობა: საწარმოო, ფინანსური და საწარმოო-ფინანსური. საწარმოო ლევერიჯი - მოგებაზე ზემოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებისა და მისი გამოშვების სტრუქტურის ცვლილებით. ის უდრის მთლიანი მოგების მატების

ტემპის შეფარდებას გაყიდვების მოცულობის მატების ტემპთან. საწარმოში ახალი ტექნიკის შეძენა თუ მისი მოდერნიზება გავლენას ახდენს საწარმოო ლევერიჯზე.

*ფინანსური ლევერიჯი* - მისი საშუალებით ვადგენთ საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები საშუალებების ცვლილების გავლენას მოგებაზე. ასახავს რამდენჯერ აღემატება წმინდა მოგების ზრდის ტემპი , მთლიანი მოგების ზრდის ტემპს. თუ საწარმო თავის საქმიანობას აფინანსებს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, ამ დროს ბერკეტის ეფექტი არ არსებობს და მთლიანი მოგების 1%-ით ცვლილება, იწვევს წმინდა მოგების 1%-ით გადიდებას ან შემცირებას. საანალიზო საწარმოებს აქვთ მოზიდული სახსრები.

*საწარმო-ფინანსური ლევერიჯი* - არის განზოგადებული მაჩვენებელი და წარმოადგენს საწარმოო და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლს. ის არღიშნავს მთლიან რისკს , რაც - დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო ნაკლებობასთან.

## დასკვნა

შპს „ მოდუსი“ და შპს „ ბი ემ სი გორგია“ ახორციელებენ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობას. ორივე კომპანია საკმაოდ ცნობილი ორგანიზაციების სიას მიეკუთვნება. ნაშრომზე მუშაობის პროცესში შეფასებულ იქნა საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები. გაანალიზებულ იქნა როგორც თითოეული საწარმოს ბალანსის სტრუქტურის დინამიკა, ასევე განხორციელდა მიღებული მაჩვენებლების ურთიერთშედარება. 2018 წლის მონაცემებით შპს „მოდუსი“-ს მთლიანი აქტივების ჯამი შეადგენს 101 707 ათას ლარს, რაც 55%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. აქტივების 67%-ს შეადგენს მიმდინარე აქტივები, ხოლო 33 %-ს გრძელვადიანი აქტივები. შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს მთლიანი აქტივების ჯამი შეადგენს 107 448 ათას ლარს, რაც 38%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. აქტივების 72%-ს შეადგენს მიმდინარე აქტივები, ხოლო 28 %-ს გრძელვადიანი აქტივები. ორივე კომპანიას ახასიათებს განვითარების და აქტივების ზრდის ტენდენცია. შპს „მოდუსი“-ს სტრუქტურაში მარაგების წილი ყოველ წელს იზრდება, ხოლო შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს სტრუქტურაში მცირდება. ფულადი სახსრები შემცირებულია მოდუსის სტრუქტურაში, რაც აისახა მის სწრაფ ლიკვიდურობაზე. ამასთანავე, მთლიანი ვალდებულებების 73,4 %-ს შეადგენს გრძელვადიანი სესხები.

სტრუქტურების შედარებითმა ანალიზმა გამოკვეთა ბალანსის ის მუხლები, რომელთა ხვედრითი წილი განსხვავებულია საწარმოთა შორის. ყველაზე დიდი სხვაობა შეინიშნება ვალდებულებებში. შპს „ ბი ემ სი გორგიას“ მოკლევადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი 68 %-ით აღემატება შპს „ მოდუსი“-ს მოკლევადიან ვალდებულებებს. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ შპს „ ბი ემ სი გორგია“ ორიენტირებულია მოკლევადიანი მოზიდული აქტივების ეფექტიან ბრუნვაზე, ხოლო „მოდუსი“ აქტივების დაფინანსების გრძელვადიან საშუალებებზე. რაც შეეხება საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს, არ შეინიშნება მუხლების ხვედრითი წილების მკვეთრი სხვაობა. კომპანიებს აქვთ განსხვავებული სტრატეგიები აქტივების დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში.

2018 წლის მდგომარეობით შპს „მოდუსი“-სა და შპს „ბი ემ სი გორგიას“ ფინანსური მდგრადობის შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ მთლიანობაში ორივე საწარმოს ფინანსური მდგრადობა არის მისაღები და ინვესტორებისათვის მიმზიდველი. შპს „მოდუსი“ არის აბსოლუტურად მდგრადი, აქვს ბრუნვის ზრდის შესაძლებლობა. შპს „ბი ემ სი გორგია“ აკმაყოფილებს მდგრადობის ნორმალურ დონეს. წინა წელთან შედარებით შეინიშნება გაუმჯობესება. შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შპს „მოდუსი“ დაახლოებით 40%-ით ნაკლებად არის დამოკიდებული კრედიტორებზე ვიდრე შპს „ბი ემ სი გორგია“. შპს „მოდუსი“-ს აქტივების დაახლოებით 70% დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით. არ არსებობს კომპანიის გაკოტრების რისკი. სტაბილური მდგომარეობა შენარჩუნებულია ბოლო სამი წლის განმავლობაში. აქვს განვითარების პერსპექტივები და მოგების ზრდის რესურსები. საჭიროა, მმართველმა გუნდმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა აღმოჩენილი და გამოყენებულ იქნას რეზერვები. შპს „ბი ემ სი გორგია“-ს ფინანსური მდგომარეობა შედარებით არასტაბილურია, თუმცა ნორმალური. კომპანია მაქსიმალურად იყენებს შესაძლებლობებს გაზარდოს რეალიზაციის მოცულობა. ეს შეიცავს გარკვეულ რისკებს. აქტივების დიდი ნაწილი დაფინანსებულია მოზიდული სახსრებით. ფინანსური მდგრადობის ხარისხი გაზრდილია 2017 წელთან შედარებით. შპს „ბი ემ სი გორგია“-ს აქვს პრობლემები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საწარმო ლიკვიდურობის კუთხით იმყოფება რთულ მდგომარეობაში, მაინც შეიმჩნევა 2018 წელს გაუმჯობესება 2017 წელთან შედარებით. მმართველმა გუნდმა უნდა შეინარჩუნოს ზრდის ტენდენცია და მომავალ წლებში მიაღწიოს ლიკვიდურობის მისაღებ ნორმას.

როგორც აღვნიშნეთ, შპს „მოდუსი“-ს ახასიათებს აბსოლუტური მდგრადობა, თუმცა ვერ აკმაყოფილებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. მომგებიანობის მაჩვენებლები დადებითია, მაგრამ შემცირებული წინა წელთან შედარებით. კერძოდ, დაბეგვრამდე მოგების ზრდის ტემპი შეადგენს 88%-ს. ეს გამოწვეულია საპროცენტო ხარჯის გაზრდით და საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფულადი ნაკადების შემცირებით. მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან გამომდინარე 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გაზრდილია ამონაგები, მაგრამ საოპერაციო მოგების მოცულობა მცირედით შემცირებულიც კია. გაზრდილია ადმინისტრაციული დანახარჯები. კომპანიის

მენეჯმენტი უნდა დაინტერესდეს აღნიშნულით და შეეცადონ გამოსწორდეს მდგომარეობა.

შპს „ ბი ემ სი გორგია“ - ს შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებლები, იზრდება საქმიანობის მასშტაბები. მოგება დაბეგვრამდე გაზრდილია 47%-ით, ამონაგები 25%-ით ხოლო აქტივები 14 %-ით . ახასიათებს რენტაბელობის ზრდის ტენდენცია.

ორივე კომპანიის შემთხვევაში შემცირებულია დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი, რაც დადებითი მოვლენაა. ამასთან ერთად , გაზრდილია მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა და შემცირებულია მარაგების ბრუნვის რიცხვი, რაც იწვევს ხარჯების ზრდას.

2018 წლის მონაცემებით საწარმოები არ დგანან გაკოტრების საფრთხის წინაშე, თუმცა ფინანსური მდგრადობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით შეგვიძლია მივცეთ გარკვეული რეკომენდაციები :

შპს „ მოდუსი“-ს შემთხვევაში

- ✓ გაიზარდოს საოპერაციო ნაკადებით მიღებული ფულადი საშუალებები
- ✓ შემცირდეს მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა
- ✓ დაჩქარდეს დებიტორული დავალიანებების ბრუნვა
- ✓ მოგების ზრდის მიზნით განხორციელდეს რესურსების ეფექტიანი გადანაწილება და მარკეტინგული მენეჯმენტის სრულყოფა
- ✓ გარე წყაროებიდან სახსრების მოძიება, გადახდისუნარიანობის შენარჩუნების პირობებში

შპს „ ბი ემ სი გორგია“-ს შემთხვევაში:

- ✓ გაიზარდოს ლიკვიდურობისა და გადახდასუნარიანობის მაჩვენებლები დებიტორული დავალიანებების ბრუნვალობის დაჩქარების ხარჯზე
- ✓ გაიზარდოს ფინანსური დამოუკიდებლობა
- ✓ გადაიხედოს შიგა და გარე დაფინანსების თანაფარდობა
- ✓ ჩატარდეს ფინანსური კონცენტრაციის კოეფიციენტების პერიოდული ანალიზი

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. თბილისი 2014.
2. ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ლურჯი წიგნი, 2018.
3. ეკონომიკური ლექსიკონი. პროფ. ა. სირგილაძის ხელმძღვანელობით. თსუ, თბილისი 2001.
4. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგორიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2017.
5. ჩეჩელაშვილი ა. სადისერტაციო ნაშრომი „ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“. თბილისი 2014.
6. ჭილაძე ი., მაისურაძე მ., ვარდიაშვილი მ., კოზმანაშვილი ლ., მოდებაძე თ. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში. თბილისი 2019.
7. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.
8. ჭილაძე ი. საწარმოს მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიის მართვა. <http://eprints.tsu.ge>
9. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე, ლექციების კურსი), თბილისი 2018.
10. ჯიქია მერაბ. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.
11. ჯიქია მ, ჩეჩელაშვილი რ, ბურდული ფ, „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.
12. ჯიქია მ. (2016) ფულადი ნაკადების ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/globaliz.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/globaliz.pdf)
13. F7 - ფინანსური ანგარიშგება, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
14. F9 - ფინანსური მართვა, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
15. Bonita K. Kramer. Christie Willson Jhonson-Analysis of statements. 2009.
16. James C. VanHorne, John M. Wachowicz, Fundamentals of Financial Management (13th edition), FT Prentice Hall, Harlow, 2009
17. [https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS\\_for\\_SMEs\\_2017\\_%2017-october.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS_for_SMEs_2017_%2017-october.pdf)
18. <https://gorgia.ge/ka>



19. <https://modus.com.ge>
20. <https://www.audit-it.ru/finanaliz/terms/solvency>
21. <https://reportal.ge>
22. <https://saras.gov.ge>

## დანართი

### შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მოდუსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	31,374,307	28,694,370
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	54,667	51,961
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,353,056	1,696,067
<b>მთლიანი გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>33,782,030</b>	<b>30,442,398</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მარაგები	7	50,444,707	43,494,629
გაცემული ავანსები		2,060,779	3,167,566
მოკლევადიანი მოთხოვნები	8	12,721,948	8,440,269
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,109,459	2,819,901
მისაღები პროცენტები		1,587,122	1,277,850
<b>მთლიანი მიმდინარე აქტივები</b>		<b>67,924,014</b>	<b>59,200,216</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>101,706,045</b>	<b>89,642,614</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
მიღებული ავანსები		678,646	2,708,382
მოკლევადიანი ვალდებულებები		8,064,994	7,801,152
გადასახდელი ხელფასები		1,000	1,696
გადასახდელი პროცენტები		420,713	355,054
საგადასახადო ვალდებულებები		337,687	186,781
დარიცხული გადასახდელი დივიდენდი			-
<b>მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>9,503,040</b>	<b>11,053,065</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი სესხები	10	26,161,714	22,254,714
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>26,161,714</b>	<b>22,254,714</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>		<b>35,664,754</b>	<b>33,307,779</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		2,200	2,200
გაუნაწილებელი მოგება		56,332,634	45,249,507
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		9,706,456	11,083,127
<b>მთლიანი კაპიტალი</b>		<b>66,041,290</b>	<b>56,334,834</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>101,706,044</b>	<b>89,642,613</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ დარჩიძე  
დირექტორი

ომარი ჭაღალიძე  
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 20 სექტემბერი  
ბათუმი, საქართველო

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

7

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მოდუსი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 ( ქართულ ლარში )

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	100,430,006	86,087,587
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(74,423,132)	(63,841,214)
<b>საერთო მოგება</b>		<b>26,006,875</b>	<b>22,246,373</b>
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(11,778,532)	(8,057,400)
ცვეთის ხარჯი		(2,767,194)	(2,217,181)
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები		-	(109,093)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	-
<b>მთლიანი საოპერაციო მოგება</b>		<b>11,461,148</b>	<b>11,862,699</b>
კურსთა შორის სხვაობა		(659,965)	(611,345)
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		(1,850,385)	(990,293)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	14	755,658	822,067
<b>მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>9,706,456</b>	<b>11,083,127</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის</b>		<b>9,706,456</b>	<b>11,083,127</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ დარჩიძე  
 დირექტორი

2019 წლის 20 სექტემბერი  
 ბათუმი, საქართველო

ომარი ჭაღალიძე  
 მთავარი ბუღალტერი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

8

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მოდუსი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 ( ქართულ ლარში )

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	111,704,528	122,046,979
მოწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(99,186,652)	(102,824,345)
გადახდილი გადასახადები	(15,131,757)	(13,118,254)
<b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(2,613,882)</b>	<b>6,104,380</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობები</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(24,563)	(5,756,579)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	98,667
<b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(24,563)</b>	<b>(5,657,912)</b>
<b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>928,003</b>	<b>598,840</b>
<b>წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)</b>	<b>(1,710,442)</b>	<b>1,045,308</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>2,819,901</b>	<b>1,774,593</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>1,109,459</b>	<b>2,819,901</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ დარჩიძე  
 დირექტორი

2019 წლის 20 სექტემბერი  
 ბათუმი, საქართველო

ომარი ჭაღალიძე  
 მთავარი ბუღალტერი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

10

**შპს „ბი ემ სი გორგია“**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**

<b>ლარი</b>		<b>31 დეკემბერი 2018</b>	<b>31 დეკემბერი 2017</b>	<b>1 იანვარი 2017</b>
ძირითადი საშუალებები	4	16,902,161	11,784,860	7,957,427
არამატერიალური აქტივები	5	269,336	292,190	246,054
წილის და მ.ს რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები	10	12,574,240	14,883,967	12,613,176
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>29,745,737</b>	<b>26,961,017</b>	<b>20,816,657</b>
მარაგები	6	49,350,421	46,699,534	28,928,507
საკონტრაქტო აქტივები	7	429,503	1,163,454	48,033
სხვა აქტივები	8	960,886	848,049	776,918
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	9	19,591,521	16,779,330	15,272,041
წილის და მ.ს რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები	10	3,517,466	66,166	66,166
გაცემული სესხები	11	303,116	429,988	384,966
წინასწარ გაწეული ხარჯები	12	34,917	14,577	-
ფული და ფულის ექვივალენტები	13	3,513,520	1,003,420	3,952,164
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>77,701,350</b>	<b>67,004,518</b>	<b>49,428,795</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>107,447,087</b>	<b>93,965,535</b>	<b>70,245,452</b>
საწესდებო კაპიტალი	17	152,200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		27,520,320	16,805,011	12,555,595
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>27,672,520</b>	<b>16,805,211</b>	<b>12,555,795</b>
მიღებული სესხები	14	4,060,892	2,289,339	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>4,060,892</b>	<b>2,289,339</b>	<b>-</b>
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	15	47,410,721	47,465,971	35,127,622
მიღებული სესხები	14	27,623,328	25,925,473	21,290,183
საგადასახადო ვალდებულებები	16	679,626	1,479,541	1,271,852
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>75,713,675</b>	<b>74,870,985</b>	<b>57,689,657</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>79,774,567</b>	<b>77,160,324</b>	<b>57,689,657</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>107,447,087</b>	<b>93,965,535</b>	<b>70,245,452</b>

ზვიად მერაბიშვილი  
ფინანსური მენეჯერი

**შპს ბი ემ სი გორგია**

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ქართულ ლარში**

<b>ლარი</b>	<b>გ/შ</b>	<b>2018</b>	<b>2017</b>
შემოსავალი	18	164,473,102	131,821,847
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(122,697,951)	(95,412,137)
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>41,775,151</b>	<b>36,409,710</b>
შრომის ანაზღაურება	20	(14,697,388)	(11,514,226)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(15,068,240)	(11,218,903)
მარკეტინგის ხარჯები	22	(3,112,600)	(2,425,243)
ცვლილებები გაუფასურების ანარიცხებში	9/10	428,310	(964,382)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შედეგი		(129,032)	46,900
მარაგების დანაკლისი/ზედმეტობა	23	(565,894)	52,028
წმინდა ფინანსური შემოსავალი	24	(2,627,121)	(3,150,770)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25	6,459,902	1,243,979
<b>მოგება გადასახადებამდე</b>		<b>12,463,088</b>	<b>8,479,093</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>წმინდა მოგება</b>		<b>12,463,088</b>	<b>8,479,093</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სულ შემოსავალი და სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>12,463,088</b>	<b>8,479,093</b>

ზვიად მერაბიშვილი  
ფინანსური მენეჯერი

**შპს ზი ემ სი გორგია**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**

ლარი	გ/შ	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
წლის მოგება		12,463,088	8,479,093
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	21	1,571,948	1,365,333
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება	9/10	(428,310)	964,382
საპროცენტო შემოსავალი	24	(47,814)	(45,738)
მარაგების გაუფასურება	21	678,798	108,143
მარაგების დანაკლისი/ზედმეტობა	21	565,894	(52,028)
მ. ს გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		129,032	(46,900)
ფინანსური ხარჯი	24	2,029,916	1,977,273
საკურსო სხვაობა	24	(626,567)	(1,153,716)
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>		<b>16,335,985</b>	<b>11,595,842</b>
ცვლილებები მარაგებში	6	(3,895,579)	(17,827,142)
ცვლილებები საკონტრაქტო და სხვა აქტივებში	7/8	621,114	(1,186,552)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	9	(2,333,119)	(2,351,521)
ცვლილებები წილის და ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან წარმოქმნილ დავალიანებებში	10	(1,147,310)	(2,345,917)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	15	(55,250)	12,338,349
ცვლილებები გადასახადებში		(799,915)	207,689
<b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები</b>		<b>8,725,926</b>	<b>430,748</b>
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი პროცენტი	14	(2,039,296)	(1,911,283)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>6,686,630</b>	<b>(1,480,535)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები	4	(5,738,497)	(2,917,983)
არამატერიალური აქტივების შესყიდვები	5	(19,948)	(81,101)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(5,758,445)</b>	<b>(2,999,084)</b>
<b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</b>			
მიღებული სესხები	14	311,437,728	305,173,135
სესხის გადახდა	14	(307,923,435)	(299,347,063)
გაცემული სესხები	11	(14,147)	-
კაპიტალში განხორციელებული შენატანები	12	(152,000)	-
გადახდილი დივიდენდი		(1,747,779)	(4,229,678)
<b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>1,600,367</b>	<b>1,596,395</b>
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	25	(18,452)	(65,519)
<b>ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა ცვლილება</b>		<b>2,510,100</b>	<b>(2,948,744)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>		<b>1,003,420</b>	<b>3,952,164</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>		<b>3,513,520</b>	<b>1,003,420</b>

ზვიად მერაბიშვილი  
ფინანსური მენეჯერი